გამოდის 1918 წლიდან

# გამოიწერეთ 100 წლის გაზეთი, რასაც აქ წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!


# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge




იმისთანა ჩმინდა საქმეში, რაგორიც ბოლდვენი სიცოცხლა, ცუდიოებით და ჭირებით ბუტოის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლოესია.

ხუთშაბათი, 14 დეკემბერი. 2017 წ. №253 (8390), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

## ამერიკელი ჟურნალისტის შეფასება

## სააკაშვილის ქცევა მისი ფსიქიკური სტაბილურობის შესახებ ეჭვებს ბადებს

8

## რომელია ტენდერის „მსხვერპლი“?!

3

## გვიყურეთ, მამაკაცებო!

6

## ბლიცინტერვიუ თამარ ივერთან

## აბანოდან ამაივლის თვალჟუჟუნა ბიჭი(?!)



## დიმიტრი არაყიშვილი

7

## ქართული საკომპოზიციო სკოლის ფუძემდებელი

## ქართველი ექიმი თანამემამულეებს ეხმარება

14, 15, და 16 დეკემბერს გერმანიაში მოღვაწე ნეიროქირურგი, გერმანიის ცვიქაუს პარაცელსიუსის კლინიკის ნეიროქირურგიული განყოფილების უფროსი ნეიროქირურგი, ფუნქციონალური ნეიროქირურგიის და ნეიროონკოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი ასლან გერმანიშვილი ნეიროქირურგიული პრობლემების მქონე 21 წლამდე პაციენტებისთვის კონსულტაციებს მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში ჩაატარებს. ვიზიტის ფარგლებში მისივე ხელმძღვანელობით ჩატარდება ქირურგიული ოპერაციები. კონსულტაციები მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში 15:00-18:00 საათამდე გაგრძელდება და წარმოებს წინასწარი ჩაწერა ნომერზე: 255 05 05 ან 70505

## თბილისი ტურისტებისთვის საინტერესო ქალაქების სამეულში მოხვდა

ტურისტებისთვის მსოფლიოში ყველაზე მიმზიდველი და საინტერესო ადგილები დასახელდა. National Geographic-ის რეიტინგში საქართველო მე-3 პოზიციაზე მოხვდა. პირველ ადგილზეა ეთიოპიის ქალაქი ჰარარი, მეორეზე კი არგენტინის ქალაქი ჟუჟა.

საქართველოს დედაქალაქ თბილისზე ჟურნალი წერს, რომ ტურისტებმა ეს ქალაქი მისი განსხვავებული არქიტექტურის, თავბრუდამხვევი სილამაზის, სამზარეულოსა და სტუმართმოყვარეობის გამო უნდა მოინახულონ. თბილისის მთავარ ღირშესანიშნაობად გოგირდის აბანოები და ლეგენდარული ხინკალიცაა მოხსენიებული.

## პატიმრობაში მყოფ ჟურნალისტთა რაოდენობამ მსოფლიოში რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია

2017 წელს მსოფლიოს მასშტაბით 262 ჟურნალისტი დააპატიმრეს. საგანგაშო სტატისტიკას ჟურნალისტთა დაცვის საერთაშორისო კომიტეტი აქვეყნებს.

CPJ-ს განცხადებით, 2016 წლის ისტორიული მაქსიმუმის შემდეგ ეს რეკორდული მაჩვენებელია. გასულ წელს მსოფლიოში 259 ჟურნალისტი დააპატიმრეს.

13 დეკემბერს გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, წელს დაპატიმრებული ჟურნალისტების საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი თურქეთზე, ჩინეთსა და ეგვიპტეზე მოდის. CPJ-ს სიაში აზერბაიჯანი, რუსეთი, ირანი, უზბეკეთი, ყაზახეთი, პაკისტანი, უკრაინა, თურქმენეთი და ყირგიზეთიც მოხვდა.

დაპატიმრებული ჟურნალისტების უმრავლესობას ბრალი ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში დასდეს.

## იფ, იფ, იფ! – მიშა მზადაა პრემიერ-მინისტრობისთვის!

ტელეარხ Zik-ის ეთერში მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ პეტრო პოროშენკო მას პრემიერ-მინისტრის პოსტს სთავაზობდა.

**„პოროშენკო სულ მიანიშნებდა იაცენიუკს, რომ მე შემდეგი პრემიერ-მინისტრი ვარ, მაგრამ როდესაც მე ამის შესახებ გავიგე, მაშინვე ვკითხე – ნუთუ ეს მართალია? მან კი მითხრა: რატომაც არა? ამაზე მე ვუპასუხე: არა!“** – განაცხადა სააკაშვილმა.

სააკაშვილმა მზადყოფნა გამოთქვა, გახდეს უკრაინის პრემიერ-მინისტრი, თუმცა არა პრეზიდენტი: **„მე მზად ვარ, ავიღო პასუხისმგებლობა უკრაინის ნორმალურ მთავრობაზე. მე არასდროს ვიყრი კენჭს პრეზიდენტობაზე, არც ერთ შემთხვევაში. ჩემი აზრით, უკრაინის პრეზიდენტი უნდა იყოს უკრაინელი, რომელიც აქ დაიბადა და გაიზარდა“**, – განაცხადა ექსპრეზიდენტმა.

# შემომწირველები, რომლებიც 2012 წელს ნაცებს, 2017 წელს კი „ქართულ ოცნებას“ აფინანსებდნენ

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა“ პარტიების შემოწირულობების კვლევის შედეგებს ასაჯაროებს. ორგანიზაცია, საეჭვო გარიგებებზე მიუთითებს, რომელიც მმართველი გუნდის შემომწირველების კომპანიების საქმიანობაში იკვეთება. კვლევა 2017 წლის 1 ივნისიდან 1 ნოემბრის ჩათვლით ჩატარდა და გამოიკვეთა – შემოწირულობების დიდი ნაწილი მმართველმა გუნდმა მიიღო.**

**„2017 წლის 1 ივნისიდან 1 ნოემბრის ჩათვლით ქართული პოლიტიკური პარტიების სასარგებლოდ განხორციელებული მთლიანი შემოწირულობების – 15 480 402 ლარის 91% მმართველმა პარტიამ „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო, რაც ათჯერ აღემატება ყველა სხვა პარტიის ჯამურ შემოწირულებებს.**

**საანგარიშო პერიოდის დეტალურმა შესწავლამ ასეთი ძირითადი მიგნებები გამოკვეთა:**

### ზოგადი ტენდენციები

**მთლიანობაში** პოლიტიკურმა პარტიებმა 15 480 402 ლარის ოდენობის შემოწირულობა მოიზიდეს, საიდანაც 11 189 128 (72%) ლარი 1 117 ფიზიკური პირის მიერ გაღებული თანხაა, ხოლო 4 291 274 ლარი – 68 იურიდიული პირისა;

ამ თანხის უდიდესი ნაწილი 14 124 553 ლარი (91%) მიიღო პოლიტიკურმა პარტიამ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, შემდეგ მოდის „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“ 950 833 ლარით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 122 496 ლარით, „პატრიოტთა ალიანსი“ – 66 392 ლარით და „ეროვნული ფორუმი“ – 39 182 ლარით;

„ქართული ოცნების“ მიერ მიღებული შემოწირულობა თხუთმეტჯერ აღემატება მეორე ადგილზე გასული „ევროპული საქართველოს“ შემოწირულობას და ათჯერ მეტია ყველა სხვა პარტიის ჯამურ შემოწირულობებზე;

68 შემომწირველი იურიდიული პირიდან 61 „ქართული ოცნების“ შემომწირველია, რომლებმაც მთლიანობაში მმართველ პარტიას 4 285 543 ლარი შესწირეს. მხოლოდ 7-მა იურიდიულმა პირმა გაიღო შემოწირულობა „პატრიოტთა ალიანსის“, „ეროვნული ფორუმის“ და „ევროპული საქართველოს“ სასარგებლოდ საერთო ოდენობით 5 711 ლარი. რაც შეეხება ფიზიკურ პირებს, 1 117 შემომწირველიდან 537 „ქართული ოცნების“ დონორი იყო, რომელთაგან 279 ადამიანი, თავის მხრივ, 782 კომპანიასთან იყო გარკვეულ კავშირში;

კვლევისას გამოვკვეთეთ 42 საინტერესო შემთხვევა, როდესაც ორ ან მეტ შემომწირველს გარკვეული კავშირი ჰქონდა ერთმანეთთან და ერთობლივად მინიმუმ 20 000 ლარი მაინც ჰქონდა შემოწირული;

განხორციელებული შემოწირულობების ავტორებიდან აღმოჩნდა ისეთი 30 ფიზიკური პირი, რომლებმაც 2012 წელს მაშინდელი სახელისუფლებო პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ გაიღო თანხები, 2017 წელს კი ამჟამინდელის – „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ.

### განსაკუთრებით საყურადღებო შემთხვევები

**ყოფილ** პრემიერ-მინისტრთან ბიძინა ივანიშვილთან ამა თუ იმ ფორმით ღიად დაკავშირებულმა 12-მა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირმა „ქართულ ოცნებას“ 2017 წელს 565 000 ლარი შემოსწირა, 2016-17 წლებში კი ამ თანხამ ერთ მილიონ ლარს გადააჭარბა;

შპს „პოლიმერი“-სა და „პოლიმერი 1“-ის თანამფლობელმა ხუთმა ფიზიკურმა პირმა 2016-17 წლებში მმართველ პარტიას მთლიანობაში 400 000 ლარი შემოსწირეს. ეს ორი კომპანია იმით არის აღსანიშნავი, რომ ისინი სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ბენეფიციარები არიან. ამ პროგრამის ფარგლებში 2016 წლის 29 სექტემბერს შპს „პოლიმერი 1“-ს თბილისში ქვემო ფონიჭალაში სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 2 990 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა სიმბოლურ ფასად ერთ ლარად გადაეცა;

2016-17 წლებში „ქართულ ოცნებას“ 170 000 ლარი შემოსწირეს ვაჟა ციგროშვილმა და მისმა ბიზნესპარტნიორმა ბეჟან ანუაშვილმა. ამ ორმა პირმა გასულ წელს მმართველი პარტიის ანგარიშზე ერთსა და იმავე დღეს – 31 აგვისტოს ჯამში 75 000 ლარი შეიტანა. ამ ამბიდან ორ კვირაში საქართველოს პროკურატურამ ერთ-ერთი საქმე გახსნილად გამოაცხადა, რომლის შედეგადაც ვაჟა ციგროშვილს სახელმწიფოს ბალანსზე არსებული 13 ავტომანქანა და 5 კვადროციკლი უკან დაუბრუნდა;

მიმდინარე წლის 24 აგვისტოს „ქართულ ოცნებას“ მთლიანობაში 50 000 ლარი შემოსწირეს შპს „ჯეუ გრუპი“-ს დირექტორებმა გიორგი მარკოიშვილმა და ნინო კიკაბიძემ. „ჯეუ გრუპი“ მსხვილი კომპანიაა, რომელიც ძირითადად თბილისში საგზაო-სარემონტო სამუშაოებს ახორციელებს. 2015 წლიდან „ჯეუ გრუპმა“ დაახლოებით 7 მლნ ლარის სახელმწიფო კონტრაქტები მიიღო გამარტივებული შესყიდვის გზით. გარდა ამისა, ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ტენდერი ამ კომპანიამ მიმდინარე წლის ოქტომბერში, „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ შემოწირულობის განხორციელებიდან ორ თვეში მოიგო;

შპს „გზამშენი-18“-ის ორმა თანამფლობელმა თეიმურაზ ჯახუამ და ვახტანგ ჭანტურიამ 2017 წლის 5 სექტემბერს „ქართულ ოცნებას“ ჯამში 25 000 ლარი შემოსწირეს. „გზამშენი-18“ მსხვილი საგზაო-სამშენებლო კომპანიაა, რომელმაც მხოლოდ მიმდინარე წელს, დაახლოებით, 10 მლნ ლარის ღირებულების გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება მიიღო, მათ შორის ყველაზე მსხვილი - 4.6 მლნ ლარის ღირებულების კონტრაქტი ამ კომპანიას შემოწირულობის განხორციელებიდან სამ კვირაში დაუდეს;

2017 წლის 1 ივნისიდან სულ 27-მა თანამდებობის პირმა და მათმა ოჯახის წევრმა განახორციელა 5 000 ლარზე მეტი მოცულობის ფულადი შემოწირულობა. ჩვენი შემოწმების ინტერესს წარმოადგენდა ის საჯარო მოხელეები, ან მათი ოჯახის წევრები, რომელთა მიერ პარტიისთვის გაღებული თანხა, მათი ოჯახის დეკლარირებული შემოსავლის დიდ წილს შეადგენდა. ამ მხრივ ორი შემომწირველი გამოვარჩიეთ, რომლებმაც საკუთარი ოჯახის წინა წლის წმინდა შემოსავლის ნახევარზე მეტი შემოსწირეს პოლიტიკურ პარტიებს;

**ნანა ბზეკალავა** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი თავმჯდომარის მიხეილ გოგოტიშვილის მეუღლეა. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციის მიხედვით მისი ოჯახის წმინდა შემოსავალი 2016 წელს (ავტომანქანის შეძენისა და ორის საბანკო სესხის მომსახურების ხარჯების გათვალისწინებით) შეადგენდა 4 593 ლარს. ბზეკალავამ 9 ოქტომბერს „ევროპული საქართველოს“ სასარგებლოდ განახორციელა შემოწირულობა 10 000 ლარის ოდენობით, რაც მისი ოჯახის 2016 წლის წმინდა შემოსავლის 217%-ს წარმოადგენს;

**გიორგი ტაბიძე** ს.ს. „RMG Copper:-ის სპეციალისტი და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საიდუმლო საქმისწარმოების სამმართველოს უფროსის ნათია ბუბუტეიშვილის მეუღლეა. მან 14 აგვისტოს 30 000 ლარი შემოსწირა „ქართულ ოცნებას“. ნათია ბუბუტეიშვილის მიერ შევსებული ბოლო დეკლარაციის მიხედვით, მათი ოჯახის 2016 წლის შემოსავალი 59 880 ლარი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ტაბიძემ ოჯახის წინა წლის შემოსავლის 50% მმართველ პარტიას შემოსწირა.

### რეკომენდაციები

**სახელმწიფო** აუდიტის სამსახურისა და პროკურატურის მხრიდან მეტი ყურადღება უნდა მიექცეს პოლიტიკური კორუფციის კუთხით მაღალი რისკის შემცველი შემოწირულობების იდენტიფიცირების საკითხს;

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უნდა მოაწესრიგოს შემომწირველთა შესახებ მონაცემთა ბაზა და გამოასწოროს არსებული ხარვეზები – მაგალითად, დამოუკიდებელი კანდიდატების შემოწირულობებზე ინფორმაცია კვლავ არ არის დამატებული.

**ბახვა ფულავა**

◎ საქმე ასე გამოიყურება

# თორნიკე შარაშენიძე – ლელა კაკულია?!

**კუმ რომ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო, სწორედ ისეა ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსის საქმე. არადა, რაც დღეს საქართველოში პოლიტოლოგები და ექსპერტები არიან, მთელ მსოფლიოს თუ არა, ნახევარ მსოფლიოს მაინც ეყოფოდა.**

აი, ნახევარ მსოფლიოს რომ ეყოფოდა, ჩემი აზრით, სწორედ იმათ რიცხვს მიეკუთვნება ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე, რომელიც მთელი დღე-ღამე ხან რომელი ტელევიზიის ეკრანზე ჩანს და ხან რომელზე... და აფრქვევს წინასწარმეტყველურ სიბრძნეს. რაშიც მაინცდამაინც ვერ ერკვევა ჩვენი თორნიკე, ალბათ, იაპონიის იმპერატორის სამომავლო ბედ-იღბალია, თორემ დანარჩენი საკითხების ანალიტიკურ შორსმჭვრეტელობაში თვით ლელა კაკულიაც შემირცხვენია.

აგერ ახლა, თორნიკე ბატონმა ერთ-ერთი გაზეთის ფურცლებზე მთელი საქართველოს გასაგონად დაწერა, სააკაშვილი შეიძლება უკრაინის პრემიერ-მინისტრი გახდესო, ხოლო საქართველოს ხელისუფლებას ნამდვილად არ აწყობს სააკაშვილი ქართულ ციხეშიო...

ერთი სიტყვით, ეს ჩვენი თორნიკე, მიშიკოს კარგა გვარიან პოლიტიკურ ბუად წარმოგვიდგენს და ვისაც დღემდე სააკანთ ბიჭის მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკოსობა ვერ დაუჯერებია, ყველას პირში ბურთსა სჩრის... **კორესპონდენტის კითხვაზე, – ამ პროცესებმა, რაც სააკაშვილის თავს ხდება, სააკაშვილი გააძლიერა თუ არაო? თორნიკე ექსპერტი თავის „გენიალურ ანალიტიკურ აზრს“ ასეთი ფორმულით ფუთავს და შემდეგნაირად უპასუხებს: რასაკვირველია, გააძლიერა და როგორც არ უნდა მოგვწონდეს, ეს ასეა. ვისაც მიშა არ მოსწონს, ისიც აღიარებს, რომ მიშა მაგარია და „ოცნების“ მეორეხარისხოვანმა პოლიტიკოსებმა (არ იგულმავიწყოთ, რომ თვითონ პირველხარისხოვანია! – რედ.) რაც არ უნდა იძახონ, რომ სააკაშვილი წარსულია, კაცი ტელეეკრანებიდან და წამყვანი ჟურნალ-გაზეთებიდან არ ჩამოდის და იძახონ ახლა, წარსულიაო... თვითონ ოდესმე თუ ყოფილან უცხოურ გამოცემებში და უცხოურ ტელევიზიებში?! არასოდესო!..**

ხედავთ, ექსპერტი-ანალიტიკოსი თორნიკე ავანტიურისტი და დემაგოგი სააკაშვილის „სიდიადეს“ რის მიხედვით განსაზღვრავს?! ხედავთ, რა ნიშნის მოგებით ელაპარაკება ყველას, ვისაც არ უნდა იმის გაგება, რომ სააკაშვილი გუშინდელი დღე არ არის და რომ **სააკაშვილისნაირი ყნოსვა პოსტსაბჭოთა სივრცეში მხოლოდ სამ-ოთხ კაცს თუ აქვს** ... (ნეტავ, ვინ არიან?!)

რას იტყვით, როგორი მეცნიერული წვდომაა?! პირადად მე, ვფიქრობ, თუ კარგა გვარიანად მოხერხებული არა ხარ, ნამდვილად შეუძლებელია სხვაზე წერდე და შენს თავს ახასიათებდე, ხმამაღლა არ ყვიროდე, რა ვქნა, სააკაშვილი ძალიან მიყვარს, მისი ფანი ვარო და სწორედ ამ სიყვარულით იყოს შეკმაზული მთელი შენი „ფილოსოფიური სჯანი“...

**ისე, თორნიკე ბატონო, ჰიტლერი და მუსოლინიც ყოველდღე ჩანდნენ იმჟამინდელ პრესასა და რადიოში (მაშინ ტელევიზია ჯერ არ იყო), ყოველდღე გაჰკიოდნენ კაცთმოძულე აზრებს, ვითომ ეს იმათ სიდიადესა და კაიკაცობაზე მეტყველებდა?!**

**ნუთუ ასე მარტივად ამოიწურება შენი მეცნიერულ-პროფესორული ბაგაჟი? ნუთუ მართლა ვერ გრძნობ, რომ თვით სააკაშვილმაც, აშკარად გადარეულმა, და თქვენც, ცხადად თუ ფარულად წყალ-წყალა გუნდრუკის მკმეველთ, ისედაც ათასი რამისგან შეღონებულ საზოგადოებას კარგა ხანია, რაც თავი მოაბეზრეთ.**

ნუთუ სხვის ქვეყანაში ამრევ-დამრევად მოფაფხურე სააკაშვილზე „მეცნიერულად დასაბუთებული“ წერილების წერის დროს ერთხელ მაინც არ გაგახსენდათ ძველი ქართული ანდაზა: **„ძალლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდაო“**, ანდა **„კვერნა სანადიროდ რომ წავიდა და თავისი ტყავიც იქ დატოვაო“**?!

ყოველივე ამის შემდეგ, მგონი, სრული უფლება მაქვს, შენ უფრო პოლიტიკურ მკითხავ-მჩხიბავად წარმოგიდგინო, ვიდრე მეცნიერ-პოლიტოლოგად...

ამ თვალსაზრისით, წერილის ბოლოს ბოდიში უნდა მოვუხადო ნამდვილად გულთმისან ლელა კაკულიას, რომელიც, შენგან და შენისთანა პოლიტოლოგებისგან განსხვავებით, ბევრად ჯანსაღად სჯის და არც გამორჩენის მიზნით ცრუობს.

ასე რომ, ქალბატონ ლელას ორეულად არამც და არამც არ გამოდგები, ერთი კია, ჯერ შედარებით ახალგაზრდა ხარ და, იმედია, გაიზრდები, როგორც ასაკის მხრივ, ასევე სწორი პოლიტიკური ხედვის თვალსაზრისით.

**გურამ წიკლაური**

# რომელია ტენდერის „მსხვერპლი“?!

**გიორგი კვირიკაშვილი: თუ სასამართლო დაადასტურებს, რომ მთავრობა რამეში შეცდა, მზად ვარ, დავჯოვო თანამდებობა!**

**თუ სასამართლო დაადასტურებს, რომ მთავრობა რამეში შეცდა, მზად ვარ, ავიღო ნებისმიერი პასუხისმგებლობა, მათ შორის, დავტოვო ჩემი თანამდებობა, ხოლო თუ დადასტურდება, რომ ყველაფერი იყო კანონის დაცვით ჩატარებული, გამობრძანდეს ბატონი გია გაჩეჩილაძე და მოუხადოს ბოდიში ტარიელ ხეჩიკაშვილს და ყველას, მათ შორის მეც,** — ასე უპასუხა პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა გია გაჩეჩილაძის მიერ მის მიმართ არსებულ ბრალდებებს.

პრემიერმა განმარტა, რომ იმ ტენდერთან დაკავშირებით, რაზეც გაჩეჩილაძემ ისაუბრა, კანონი ზედმიწევნით იყო დაცული.

**„დაწვრილებით გავეცანი გია გაჩეჩილაძის გუშინდელ გამოსვლას. ჩემთვის ძალიან სამწუხარო იყო იმის აღქმა, რაც ვნახე და მოვისმინე. მან აბსოლუტურად დაუსაბუთებლად შეურაცხყოფა მიაყენა იმ ადამიანებს და გუნდის წევრებს, რომლის ხელმძღვანელიც მე ვარ. ჩვენ ერთად ვიბრძოდით, მათ შორის გიაც, მეც და ძალიან ბევრი ადამიანი, რომ ადამიანის ღირსება დაგვეცვა და სამწუხაროდ, მისგან ასეთ დაუსაბუთებელ შეურაცხყოფას ნამდვილად არ ველოდი და არ შევეგუები. არ შემიძლია, მოვისმინო ქება ადამიანისგან და ეს ქება ჩემთვის კიდევ უფრო შეურაცხმყოფელი იყო ჩემთვის, როდესაც ის შეურაცხმყოფელად იხსენიებს ჩემი გუნდის წევრებს.**

**დაწვრილებით გავეცანი იმ საკითხს, როდესაც მან ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერზე ისაუბრა. ჯერ ერთი, მინდა ვთქვა, რომ როდესაც ის მე დამიკავშირდა, რა თქმა უნდა, მივეცი დავალება მთავრობის ადმინისტრაციას, არ მომხდარიყო ისე, დაჩაგრულიყო ბიზნესმენი, ყოფილიყო თანაბარი პირობები ყველასთვის. რა თქმა უნდა, შემდეგ გავეცანი ამ საქმეს და მინდა გითხრათ, რომ ჯერ ერთი, ტარიელ ხეჩიკაშვილი და ის ბიზნეს-ჯგუფი, რომელშიც მას წილი გააჩნდა, თუ დღეს გააჩნია — შეგიძლიათ, გაარკვიოთ, არაფერ შუაში არ იყო ამ ტენდერთან. სრულიად სხვა კომპანიამ გაიმარჯვა. მეორე ის, რომ კანონი იყო ზედმიწევნით დაცული და მე მოვითხოვ, რომ მან მიმართოს კონკურენციის სააგენტოს. სააგენტოსაც შეუძლია მიმართოს, მაგრამ რომ არ იყოს სპეკულაციები, რომ კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელს ნიშნავს მთავრობის ხელმძღვანელი, მიმართოს სასამართლოს“,** — განაცხადა პრემიერმა.

ცნობისთვის, გია გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომობილების ტენდერი კომპანია „სიტროინ ჯორჯიამ“ უსაფუძვლო მიზეზების გამო წააგო. მისივე თქმით, საქართველოში ტენდერებში სულ რამდენიმე კომპანია მონაწილეობს და ამ კომპანიების უკან სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი დგას.

**გიორგი გაჩეჩილაძე: მე რომ დამარტყეს, ხმა არ ამოვიღო? რაღგან მეგობარია...მეგობრობა ცალმხრივია?!“**

გია გაჩეჩილაძე, რომელიც კონკურენციის სააგენტოს ტენდერებით დაინტერესებისკენ მოუწოდებს, აცხადებს, რომ მას პრემიერისთვის არ უთხოვია გადადგომა. მისი ერთადერთი მიზანია, გაირკვეს, რატომ გაფორმდა ბოლო ერთი წლის მანძილზე სპორტის სამინისტროში 57 ტენდერი უკონკურენტოდ.

გაჩეჩილაძე ამბობს, რომ **მეგობრობის გამო ის არ უნდა დაიჩაგროს. მისივე თქმით, ეს მეგობრობა ცალმხრივია, როცა მას „დაარტყეს?!“. გაჩეჩილაძის თქმით, მისი კომპანია შავ სიაშიც უმიზეზოდ არის მოხვედრილი.**

**ბოდიშს მოვიხდი კი არა, კისერზე გავივლი თუ დამნაშავე ვიქნები ,რატომ ჩატარდა უკონკურენტოდ ბოლო ერთი წლის მანძილზე 57 ტენდერი?!“** — ამბობს გია გაჩეჩილაძე.

## თვითონვე დაშალონ ეს უსახური შენობა, თუ არადა, ვიმოქმედებთ კანონის ფარგლებში!

თბილისის მერის კახა კალაძის განცხადებით, მტკვარზე უკანონო მშენებლობები აღირიცხა. კალაძემ დედაქალაქის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ზედამხედველობის სამსახურს დაავალა, აღკვეთონ ასეთი მშენებლობები.

**„მტკვარზე დაფიქსირდა უკანონო მშენებლობები. თქვენც თუ გახვალთ, დაინახავთ, რომ ძალიან ცუდი რამ ხდება. ყოველგვარი კანონის დარღვევით მიმდინარეობს გარკვეული გაუგებარი მშენებლობები. მე ვიცი, რომ ცვლილებების პროექტი მომზადებულია, რომლის დასამტკიცებლად საქართველოს მთავრობასთან ერთად**

**უნდა მოხდეს ამ ცვლილებების განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობა კრძალავს ნებისმიერი ტიპის, მათ შორის დროებითი და მსუბუქი კონსტრუქციების უნებართვო მშენებლობას, მგონია, რომ მეტი სიცხადისთვის დაზუსტება აუცილებელია. ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად შესაძლებელია ამის გაკეთება. ვიცი, რომ ზედამხედველობის სამსახური იყო მისული ერთ კონკრეტულ ობიექტზე, რომელიც უნებართვოდ ახორციელებს მშენებლობას. მივეცით გარკვეული ვადები, რომ თვითონვე დაშალონ შენობა-ნაგებობა, ეს უსახური შენობა, თუ არადა, ვიმოქმედებთ კანონის ფარგლებში“,** — განაცხადა კალაძემ.

## უფასო სასადილოების ბიუჯეტი არ შემცირებულა!

დედაქალაქის მერი აცხადებს, რომ უფასო სასადილოების ბიუჯეტი არ შემცირებულა და გაკეთებული განცხადებები არის მორიგი სიცრუე ოპოზიციის მხრიდან:

**„16 მილიონ 500 ათასი ლარი არის გამოყოფილი სოციალური მიმართულებით, კონკრეტულად უფასო სასადილოებისთვის. ის, რომ კონკურენცია იყო და ტენდერი ჩატარდა, აბა რა ვქნათ? სამი ლარი იყოს და არ იყოს კონკურენცია კომპანიებს შორის? ეს მიღებულია კონკურენციის შედეგად.**

**თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ დავაკვირდებით. რა თქმა უნდა, ყოველთვიურ რეჟიმში იქნება დაკვირვება, თუ რაიმე პრობლემა იქნება კვებასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, ჩვენი მხრიდან იქნება დახმარება, იქნება დამატებითი თანხები გამოყოფილი, რადგან ესენი არიან ადამიანები, რომლებსაც ყველაზე მეტად უჭირთ დღეს ჩვენს ქალაქში“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

## დედაქალაქს ორი ახალი - №54 და №64 მარშრუტი ემატება

**მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, დედაქალაქს ორი ახალი — №54 და №64 მარშრუტი ემატება,** — ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, თბილისში არსებობს კონკრეტული უბნები, სადაც მოსახლეობას საზოგადოებრივი ტრანსპორტი საერთოდ არ ემსახურება, ან ლოდინი დიდი ხნის განმავლობაში უწევთ.

**„მესმის, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმართულებით სერიოზული პრობლემაა. მხედველობაში მაქვს არსებული ყვითელი ავტობუსების პარკი, რომელიც კრიტიკას ვერ უძლებს და ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. შესაბამისად, დაგეგმილი გვაქვს ახალი, ევროპული ტიპის ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსების შემოყვანა და მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, გვინდა, ყვითელი ავტობუსების პარკი სრულად ჩავანაცვლოთ“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, სანამ ახალი ავტობუსების შემოყვანა და არსებული პარკის განახლება მოხდება, დედაქალაქის კონკრეტულ უბნებში მცხოვრები მოსახლეობისთვის გადაადგილება მაქსიმალურად კომფორტული უნდა გახდეს.

**„ახალი, №54 მარშრუტი ემატება, რომელიც მგზავრებს დიდი დიღმის მეოთხე მიკრორაიონიდან უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმართულებით, დავით აღმაშენებლის ხეივნის, მარშალ გელოვანისა და ვაჟა-ფშაველას გამზირის გავლით მოემსახურება. აღნიშნული მარშრუტი დიდი დიღმის მოსახლეობასა და მარშრუტის გზასავალზე მომლოდინე მგზავრებს საშუალებას მისცემს, საბურთალო-ვაკის ტერიტორიის ნაწილსა და უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსს მოკლე დროში დაუკავშირდნენ. ასევე, სოფელ ახალდაბის მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, მოხდება №64 ავტობუსის დამატება“...**

## მწვანე ნარგავების ჭრის საკომპენსაციო გადასახადი იზრდება

**დედაქალაქის მერმა თბილისის მთავრობის წევრებს და თავის მოადგილეს დავალება მისცა მოამზადონ სამართლებრივი ცვლილებები იმისთვის, რომ მწვანე ნარგავების ჭრის საკომპენსაციო თანხა გაიზარდოს. კახა კალაძის განცხადებით, დღეს ეს თანხა ერთ ხეზე 700 ლარია, რაც არაადეკვატურია.** კალაძემ ამ საკითხში პარლამენტის მხარდაჭერის იმედიც გამოთქვა. კალაძემ თავის მოადგილეს მაია ბითაძეს ასევე მოუწოდა, ახალი მშენებლობის ყველა პროექტში, მშენებლობების ნებართვის გაცემიდან, მერიის სამსახურები ჩაერთონ, რათა მშენებლობის ნებართვის გაცემა არ მოხდეს მწვანე ნარგავების გაჩეხვის ხარჯზე.

## ახალ წელს გარემონტებულ სახლებში შეხვდებიან

**ჩუღურეთის** რაიონში, **ნინოშვილის №41-ში მდებარე ავარიული შენობის გამაგრების სამუშაოები მიმდინარეობს.**

ორსართულიანი სახლის პირველი და მეორე სართულების დამაკავშირებელი კონსტრუქციის ჩამონგრევის გამო, ორი ოჯახი საცხოვრებლის გარეშე დარჩა. რაიონის გამგეობა შენობის გამაგრებას კანონით დადგენილი პროცედურების გათვალისწინებით ახორციელებს. აღნიშნულ მისამართზე მცხოვრები პირები საკუთარ საცხოვრებელ სახლებს ახალ წელს დაუბრუნდებიან. სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ჩუღურეთის რაიონის გამგეობა 30 000 ლარით აფინანსებს.

## კიდევ ერთი განახლებული ქუჩა ფონიჭალაში

**კრწანისის** გამგეობამ სოფელ ფონიჭალაში გზის კაპიტალური მშენებლობა კიდევ ერთ ქუჩაზე დაასრულა. **საგზაო ინფრასტრუქტურა ამჯერად, ილორის ქუჩაზე მოწესრიგდა, სადაც ასფალტის საფარი 3000 კვ.მ-ზე დაიგო.**

მიმდინარე წელს, ქვემო ფონიჭალაში საგზაო სამუშაო რამდენიმე ქუჩაზე ჩატარდა — გზა კაპიტალურად მოეწყო აფხაზეთისა და გულბანის I და II ჩიხებში, აღმაშენებლის II ჩიხში, ასევე რაფავას, ხვიტიასა და გაგრის ქუჩებზე. გზების მშენებლობის სამუშაოებს კონტრაქტორი კომპანია შპს „გუმი“ ასრულებს. აღსანიშნავია, რომ კაპიტალური გზა სოფელ ფონიჭალაში ამ დრომდე არ არსებობდა.

# სახელმწიფო, რომელიც გვაქვს, ჩვენი შექმნილია!

## როგორ ვაქციოთ ადამიანი და მასზე ზრუნვა პრიორიტეტად?!

**თბილისის 51-ე და წყალტუბოს სკოლებში მომხდარი ფაქტები პირველი არ არის, საიდანაც მეტ-ნაკლებად ჩანს სოციუმის განწყობა. გადაწყვეტით ვერ ვიტყვით, რომ ამას განაპირობებს ერთი კონკრეტული მიზეზი, მაგალითად, მძიმე სოციალური ფონი, რადგან მეტ-ნაკლებად, განვითარებულ ქვეყნებშიც არის მსგავსი შემთხვევები. რა შეიძლება იყოს დომინანტი, რაშიც უნდა ვეძებოთ ასეთი სისასტიკის მიზეზი – ეს შეიძლება იყოს ქვეცნობიერში ჩადებული თვითდამკვიდრების ინსტინქტი, ოჯახის ანარეკლი, დაუსჯელობის სინდრომი თუ სხვა. ამ პრობლემაზე, რომელიც დღეს მთელი საქართველოს სამსჯელოა, კულტუროლოგი ლელა იაკობიშვილი-ფირალიშვილი გვესაუბრება.**

– **როცა** ასეთ თემებზე ვფიქრობ, ვიცი, რომ რაც არ უნდა თქვა, მოცემული სინამდვილის მხოლოდ ერთი სავარაუდო აღწერაა და ისიც ისეთი, რომ შესაძლოა, სულ არაფერ შუაში არ იყოს მომხდართან. როგორც წესი, ტრაგედია იმიტომაა ტრაგედია, რომ ის შესაძლოა, სულაც არ იყოს ლოგიკური და გარემოებების თუ მიმდინარე პროცესის გარდაუვალი შედეგი და გვეძლეოდეს როგორც ბედისწერის გარდუვალობა.

ახლა უკვე ისეა გადაჯაჭვული ერთმანეთთან ფსიქოლოგიურად და, ალბათ, ბედისწერითაც ყველა ის, ვინც ამ უმძიმეს ამბავთანაა კავშირში, რომ ვერც კი მიხვდებიან და დაუშვებენ იმას, რა მორალური სიცხადის წინაშე აღმოვჩნდით ჩვენ, ყველანი, ვისაც ფორმალურად არანაირი კავშირი მომხდართან არ გვაქვს.

რა თქმა უნდა, ყველა ის ფაქტორი, რომელზეც თქვენ მიუთითებთ, გასათვალისწინებელია და მართლა შეიძლება განვიხილოთ ერთ-ერთ, მაგრამ არა გადამწყვეტ მოტივად აგრესიის მოჭარბებისა ქართულ საზოგადოებაში, თუმცა აგრესია და აგრესიულობა არც ახლა და აქ დაბადებულა და, ალბათ, არც გაქრება.

უმნიშვნელოვანესი გახლავთ სხვა რამ – რამდენად ვართ მზად, ვმართოთ ეს აგრესია და დანაშაულებრივ საზოგადოებამდე, საკუთარი თავის წინააღმდეგ მიმართულ საზოგადოებამდე არ მივიდეთ, საკუთარი, ყოვლად მდარე აგრესიით მართული არ აღმოჩნდეს საზოგადოების უმრავლესობა. ეს გახლავთ ჩვენთვის პრობლემა. ეს არის ის, რა ღირებულებით საზრისებს ვეყრდნობით ჩვენ და როგორ აითვისებენ და გაითავისებენ ამას შემდგომი თაობები.

ჩვენს ქვეყანაში მადლიანი ზნეობრივი პრეცენდენტების სიმწირეა. მთელი საზოგადოება დიდაქტიკოსებად ვართ ქცეული და ერთმანეთს ჭკუას ვარიგებთ, იმის ნაცვლად, რომ ერთხელ მაინც თვალი გავუსწოროთ ჩვენსავე ორეულს და ვაღიაროთ – რა შეგვეძლო და რა გავაკეთეთ, რა უნარები გვებოძა ღვთისგან და რა უწესოდ გავხარჯეთ.

საუბარი აღარ არის იმაზე, შეგვიძლია თუ არა სასაზღვრო სიტუაციაში ადამიანური სახე შევინარჩუნოთ. აი, ასეთი ტიპის მედიტაციებში უნდა ვიყოთ დღენიადაგ, რომ ადამიანის გზას არ გადავუხვიოთ, შემთხვევამ თუ ბედისწერის გამოწვევამ ადამიანის სახე არ დაგვიკარგოს. აი, ამას სჭირდება ყოველწამიერი ძალისხმევა ოჯახიდან და საბავშვო ბაღიდან დაწყებული. ეს შრომაა ყველაზე რთული და, ვფიქრობ, ყველაზე ნაყოფიერიც, რამდენადაც მხოლოდ საკუთარ თავზე მუშაობაა ყველაზე პროდუქტიული – გარემოს ასუფთავებ და ცვლი კიდევაც იმით, რომ საკუთარ თავს ცვლი.

ამის პრაქტიკა, სამწუხაროდ, არ არსებობდა და არ არსებობს არც ჩვენს თაობაში, არც ახალში. ეკლესიიდან და საგანმანათლებლო სისტემიდან დაწყებული, დირექტიულად ვამბობთ – „უნდა“, ოღონდ „როგორ უნდა“, არც ჩვენ ვიცით და სხვას როგორ ვასწავლით....

**მე არ ვფიქრობ, რომ მხოლოდ მამაკაცები გვყავს მოძალადეები. ძალზე ხშირად, ოჯახში ფსიქოლოგიური მოძალადეები ქალები არიან. ვინც რა იარაღს ფლობს, იმით ძალადობს**

**– მოგეხსენებათ, სკოლებში მუშაობენ ფსიქოლოგები და უნდა ვივარაუდოთ, რომ ამას კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა – შესაძლებელია თუ არა ძალადობისა და სისატიკისკენ მიდრეკილი მოზარდების გამოვლენა, მათთან მუშაობა, ოჯახის ჩართვა ამ პროცესში და ა.შ. – რა როლი ეკისრება სკოლას?**

– კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ სკოლა, ისევე როგორც ოჯახი, შენი საარსებო გარემოა, შენი სასიცოცხლო სივრცეა. ის ჩვენი ძალისხმევის ნაყოფი და პროდუქტია. პედაგოგი, ფსიქოლოგი, მანდატური, მოსწავლეები გვიქმნიან ცოცხალ ველს, სადაც სრულიად აშკარაა, თითოეული მათგანი რა ღერძული ღირებულებების გარშემო ტრიალებს. აქვე ვიტყვი, რომ სკოლის საგნობრივი გარემო, მთელი ინფრასტრუქტურა, რაც სკოლის შენობის და მის გარეთაა, ტრანსპორტი, რომელსაც სკოლამდე მივყავართ, ადამიანები, ქუჩაში რომ გვხვდებიან, რომელი ერთი ჩამოვთვალო, – ყველაფერი ეს ასტრუქტურირებს ჩვენშიც და ჩვენს გარეთაც არა მხოლოდ ჩვენს სურვილებს, არამედ ძირითად მისწრაფებებსაც.

რატომ ვერ მოერია ვერც ერთი მინისტრის ვერც ერთი რეფორმა სკოლას?! ალბათ, ყველა კეთილი განზრახვით იწყებდა რაღაცას, ოღონდ ამ რაღაცას პრეტენზიულ სახელს – რეფორმებს არქმევდა. ანუ, აპრიორად მიიჩნევდა იმას, რომ მის რეფორმამდე ყველაფერი ცუდად იყო და ახალი კამპრაჩიკოსების გამოყვანას იწყებდა საკუთარი სასურველი თუ სავარაუდო მოდელით, ან იმ მოდელით, რომლის ალგორითმი უკვე არსებობს რომელიღაც სრულიად განსხვავებულ სოციო-კულტურულ გარემოში.

როგორ უნდა ემსახურებოდეს თუ ეშველებოდეს მედია სკოლაშიც და სკოლის გარედაც შრომის უნარების გაღრმავებასა და შრომის კულტურის დამკვიდრებას, როგორც სასწავლო პროცესისას, ასევე ყოფაში. რა ადგილი უკავია აქ შემეცნებით პროცესს, სპორტს, თამაშს და ა. შ.

მხოლოდ ამ მუშაობის შემდეგ ექნება აზრი ფსიქოლოგის ინდივიდუალურ შრომას. მაშინ ფსიქოლოგიც იოლად წაიკითხავს ერთიან დინამიურ სისტემაში დინების საწინააღმდეგოდ მოძრავი ბავშვების ფსიქოლოგიას და მუშაობაც არ გაუჭირდება, რამდენადაც, შესაძლოა, სწორედ ასეთი ენერგიის მქონე ბავშვებზე დახარჯულმა ძალისხმევამ სისასტიკის მიდრეკილებისაგან გაათავისუფლოს თაობა, რომელიც თავად აღარ იქნება ძალადობის სივრცის ბინადარი, გარემოებების მსხვერპლი.

**– ბოლო პერიოდში მედიაში ხშირად შუქდება ოჯახში ძალადობის ფაქტები – ძირითადად, ფიზიკურად ძლიერი, ანუ მამაკაცი სასტიკად უსწორდება სუსტს. სპეციალისტები როგორც ამბობენ, მსგავსი ფაქტები კი არ გახშირდა, არამედ, შესაბამისი სტრუქტურები ამ ინფორმაციას აღარ მალავენ. ცხადია, ოჯახის ფსიქოლოგს არ, ვერ ან იშვიათად მიმართავენ სოციალური ფონის გათვალისწინებით. თუმცა ჩვენს კულტურაში იყო ქალის, დედის პატივისცემა – ფასეულობები შეიცვალა?**

– მე ვფიქრობ, რომ ძალადობრივი გარემო მთელს ჩვენს კულტურას ფარავს. ეს მხოლოდ ჩვენი პრობლემა არ გახლავთ. ჩვენთან ეს მძაფრად იკითხება, რამდენადაც პატარა სივრცეში უკეთ და მკვეთრად ვხედავთ ერთმანეთს და ყველაფერს.

მე არ ვფიქრობ, რომ მხოლოდ მამაკაცები გვყავს მოძალადეები. ძალზე ხშირად, ოჯახში ფსიქოლოგიური მოძალადეები ქალები არიან. ვინც რა იარაღს ფლობს, იმით ძალადობს (არ ვგულისხმობ გამონაკლისებს, რომელიც კრიმინალამდე მიდის).

უმძიმეს ფაქტებს შეგახსენებთ, დედამ შეშის ნაპობით შვილი რომ სასიკვდილოდ გაიმეტა. დედამ ნაგვის ურნაში რომ დატოვა ბავშვი და პოლიციელებმა მიაგნეს. დედები და ხშირად მამებიც შვილს რომ ურტყამენ და უყვირიან, რის შესახებაც ბავშვთა ფსიქოლოგები თუ შეგვახსენებენ ხოლმე ხანდისხან.

ჩვენ დიდი და მძიმე გამოწვევის წინაშე ვიდექით, რამდენიმე ომი წავაგეთ რუსეთთან, გამოვიარეთ სამოქალაქო ომი და რევოლუცია, პოლიტიკური ბატალიები და ღირებულებათა გადაფასების წინაშე აღმოვჩნდით. ახლა მხოლოდ აქ გვაქვს ძირითადი სამუშაო ერსაც და ბერსაც, რომ ჩვენს მადლიან შესაძლებლობებზე ჩვენითვე გადავიტანოთ აქცენტი.

ცალკეული ფსიქოლოგი ვერაფერს გახდება. ელიტები უნდა დაეხმარონ ადამიანებს სასულიერო, ინტელექტუალური, ბიზნეს, პოლიტიკური, თუ რა თქმა უნდა, ჩვენ ასეთები შეგვრჩა, მათ კი ელიტებს, შერჩათ პასუხისმგებლობის გრძნობა იმ გარემოზე, რომელსაც თავად ასტრუქტურირებენ.

**– აღნიშნული პრობლემიდან გამომდინარე რისი გაკეთება შეუძლია სახელმწიფოს, რა ბერკეტებია მის ხელში?**

– მის ხელში ყველა არა, მაგრამ ძალზე ბევრი ბერკეტია. ინსტიტუციონალურ და ფინანსურ რესურსს სხვა, უფრო მნიშვნელოვანი რამ ჭირდება – იმის გააზრება, რომ სახელმწიფო ადამიანისთვის შექმნილი ინსტიტუციაა იმისთვის, რომ სახელმწიფოებრივმა კოლექტიურმა ნებამ ადამიანი დაიცვას ყოველთვის – ბავშვობაშიც, მოზარდობაშიც, სიმწიფესა და მოხუცებულობაშიც. ჩვენს სახელმწიფოს ასათვისებელი აქვს სწავლება – როგორ ვაქციოთ ადამიანი და მასზე ზრუნვა პრიორიტეტად. დამოუკიდებლად ის ამას ვერ ისწავლის. ის სახელმწიფო, რომელიც გვაქვს ჩვენი აგებულია.

**ლალი ზირაქიშვილი**

---

**სარედაქციო ფოსტიდან**

## ეს დამნაშავეთა კასტა!

**ეგრეთ წოდებული** კოჰაბიტაციის გამოცხადებისთანავე **უსუფაშვილმა განაცხადა: ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ნაციონალური პარტიაო.** როგორ, ნაციონალური პარტია, რომელიც წლების განმავლობაში ანგრევდა ქვეყანას, ახორციელებდა სააკაშვილის მოწოდებას ნულოვანი ტოლერანტობის შესახებ, რომელმაც შექმნა ქართულ სინამდვილეში წამების, ცოცხებით გაუპატიურების სამარცხვინო ეპოპეა, პარტია, რომელიც არაფრად აგდებდა ადამიანთა სიცოცხლეს, ქუჩაში ხოცავდა უდანაშაულო ადამიანებს, პარტია, რომელმაც ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტი დაკარგა, ბრძოლის ველზე დაჭრილი და დახოცილი მეომრები უპატრონოდ მიატოვა, ომში დამარცხება გამარჯვებად აღიარა?

ნაციონალური პარტია ყოველგვარი მონანიების გარეშე აგრძელებს ყელყელაობას, ანთხევს ტყუილს, ცილისწამების, გინების კასკადს. ნაციონალები სულის საშინელი სენით – ძალაუფლებისადმი სწრაფვით არიან დაავადებულნი. ნაციონალებო, ასე როგორ დაიზაფრეთ სკამის დაკარგვის გამო? თქვენმა საქციელმა **ნიცშეს** სიტყვები გამახსენა: **„ისინი ტახტისაკენ ისწრაფვიან, ესაა მათი შეშლილობა, მცოცავი მაიმუნები, დასიცხულნი, სიმყრალით სავსეა მათი კრებული“.**

ნაციონალური პარტია ეს დამნაშავეთა კასტაა, ისინი უმკაცრესად უნდა დაისაჯონ და გამოცხადდნენ კანონგარეშე.

**P. S. სამწუხაროდ, პირველი ტელე არხი კოჰობიტიის აღზევების ცენტრი გახდა.**

## სააკაშვილის ორმაგი თამაში

**სიტყვა** თამაში ერთობ **რბილად ნათქვამია სააკაშვილის პოლიტიკის დასახასიათებლად. მისი პოლიტიკა თავიდან ბოლომდე ავანტიურისტული ია. იგი ყოველთვის სიტყვით სხვას და საქმით რუსეთის სასარგებლოდ მოქმედებდა.** სააკაშვილმა თავისი ავანტიურისტული პოლიტიკით ქვეყანას 20 პროცენტი ტერიტორია დააკარგვინა. ნუთუ ვინმეს სჯეროდა მისი ყბედობა, ტრაბახი რუსებზე გამარჯვებისა? განა მან არ იცოდა, რომ დამარცხდებოდა? კარგად იცოდა, მაგრამ სააკაშვილი, სუკის სკოლაში გაზრდილი და მისი მრჩეველი ბიძა ალასანია, სუკის გენერალი, პუტინის წინააღმდეგ წავიდოდნენ? არა და არა!

სააკაშვილი აგრძელებს თავის ორმაგ თამაშს რუსეთსა და უკრაინის საკითხში. არ იფიქროთ, რომ მას უკრაინის ბედი აინტერესებს, პირიქით, იგი ცდილობს, კიდევ უფრო გაამწვავოს ვითარება უკრაინაში. ამით სააკაშვილი პუტინის წისქვილზე უშვებს წყალს.

შეაჩერეთ მსოფილო ავანტიურისტი!

**P. S. საინტერესოა, როგორ ახსნის სააკაშვილი იანუკოვიჩის და კურჩენკოს მიერ ნახევარმილიონიან დაფინანსებას.**

**ლონდა მდივანი.**

# გულს, ნებისმიერ ასაკში, გულიანი მოფერება უნდა

**რა მიგვანიშნებს პირველად იმაზე, რომ გულთან დაკავშირებით რაღაც პრობლემები წარმოგვეშვა? მართალია თუ არა, რომ გარკვეული ასაკის შემდეგ გულის დაავადებების თავიდან აცილება შეუძლებელია? ღირს თუ არა ინფარქტისგან „გაქცევა“? ამ და კიდევ სხვა კითხვებს, რაც ორგანიზმის „ძრავას“ უკავშირდება, პასუხობს ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორი, სრულიად რუსეთის „ერის ჯანმრთელობის ლიგის“ პრეზიდენტი მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი კარდიოქირურგი ლეო ბოკერია.**

**გულ-სისხლძარღვთა** სისტემის დაავადებებს, ორგანიზმის დაბერების ერთ-ერთ ასპექტად მიიჩნევენ. დროთა განმავლობაში ორგანიზმში ყველაფერი, მათ შორის გულის სისტემაც ცვდება, რაც ათეროსკლეროზით — სისხლძარღვების კედლებზე ბალთების წარმოშობით ვლინდება და მათ შევიწროებას, ზოგჯერ კი სრულ ამოქოლვასაც იწვევს.

გულის ორი მთავარი ასაკობრივი სნეულებაა **ჰიპერტონია** და **მოციმციმე არითმია**. ჰიპერტონიული დაავადება ფიზიკური მდგომარეობის, მეხსიერების, მხედველობის გაუარესებით იწყება, უარეს შემთხვევაში კი შესაძლოა თავის ტვინის ინსულტის წარმოშობაც. ასეთივე შედეგი შეიძლება მოჰყვეს მოციმციმე არითმიასაც — არარეგულარული რიტმის გამო მარცხენა გულისწინა პარკუჭში თრომბი ყალიბდება, რომელიც რაღაც მომენტში შეიძლება მოწყდეს და ტვინში „გაიჭედოს“.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დროთა განმავლობაში, ასაკის მატებასთან ერთად ჰიპერტონიული სნეულება და მოციმციმე არითმია ყველა ადამიანის ორგანიზმში ვითარდება, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ გულის დაავადებებს როგორც რაღაც გარდაუვალ საფრთხეს უნდა მივუდგეთ. გახსოვდეთ, **გულ-სისხლძარღვთა დაავადების განკურნება, როგორც სიცოცხლისთვის საშიშ დაავადებათაგან ერთ-ერთის, დღეს სავსებით შესაძლებელია**.

გულის ბევრ სნეულებას საფუძვლად უდევს გენეტიკური მეხსიერება, ამიტომაც ბებია-ბაბუების, მშობლების ჯანმრთელობის პრობლემების ცოდნა აუცილებელია, ვინაიდან ისინი შესაძლოა, შვილებსაც და შვილიშვილებსაც გაუმეორდეთ. გენეტიკური საფუძვლის ავადმყოფობებს შორის ბევრია ისეთი, რომელთა გამოვლენის შესუსტება ცხოვრების ჯანმრთელი წესის დაცვით შეიძლება, თუმცა ამით პრობლემა საბოლოოდ მაინც არ გადაწყდება. მათ რიცხვშია QT გაგრძელებული ინტერვალის სინდრომი, ჰიპერქოლესტერინები, არითმოგენური კარდიოპათია და სხვ. სამაგიეროდ, გულის სნეულებათა დიდი ნაწილი — ესაა დაავადებები, რომელთა განვითარება არაერთ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვაზე, რასაც შეუძლია დაავადების გადავადება, ანდა პირიქით, დაჩქარება.

როცა საუბარია ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვაზე, პირველ ყოვლისა, იგულისხმება ფიზიკური აქტივობა, რეგულარული ფიზიკური დატვირთვა — ეს გულის ჯანმრთელობის შენარჩუნების აუცილებელი პირობაა. სხვა საქმეა, რომ **ყველა ასაკს ფიზიკური დატვირთვის სხვადასხვა ნორმა აქვს. მოწიფულ ასაკში ოპტიმალურ ფიზიკურ დატვირთვად სიარული იგულისხმება. დამტკიცებულია, რომ ფეხით რეგულარული სიარული გულ-სისხლძარღვთა დაავადების წარმოშობის რისკს შვიდჯერ ამცირებს, სიცოცხლეს კი 5-7 წლით ახანგრძლივებს. სისხლძარღვთა ნორმაში სამყოფად საკმარისია დღეში 10 ათასი ნაბიჯის გავლა, რაც 40 წუთის განმავლობაში შეუჩერებლად სიარულს ნიშნავს. სიარულით წარმატებით იკურნება ჰიპერტონიის დაწყებითი სტადიაც კი!**

ამავე დროს, ისიც უნდა გახსოვდეთ, რომ დღის მანძილზე „გადარბენა-გადმორბენებს“ ფიზიკურ აქტივობასთან არანაირი კავშირი არა აქვს: **სტრესი და სეირნობა ერთმანეთთან შეუთავსებელია**. სუფთა ჰაერზე სეირნობა გარკვეულ ტემპს საჭიროებს, ერთი და იგივე დისტანციის გავლა კი ოპტიმალურად კარგ გუნება-განწყობას ქმნის.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გულ-სისხლძარღვთა სნეულების საუკეთესო პროფილაქტიკად ხმელთაშუაზღვისპირული დიეტა ითვლება. მაგალითად, საფრანგეთის, საბერძნეთის, იტალიის მცხოვრებლები გულ-სისხლძარღვებთან დაკავშირებით პრობლემებს იმათთან შედარებით, ვინც კვების ამ სისტემას არ მისდევს, 10 წლით გვიან, დაახლოებით 59-63 წლის ასაკში უჩივიან. არადა, ხმელთაშუაზღვისპირული დიეტის ერთიანად ჩვენს პირობებში გადმოტანა შეუძლებელია, იქ განსხვავებული კლიმატი, ცხოვრების სხვა პირობები და კვების პროდუქტებია. **ფორმის შესანარჩუნებლად კი საჭიროა ზომიერად, რეგულარულად და მრავალფეროვნად კვება**.

სხვა მხრივ, დიდად სარგებლიანია **ამერიკელ ასტრონავტთა, ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ — კრემლის დიეტა**, რომელიც გულის დაავადებისგან თავის დაცვის ერთ-ერთი ქმედითი ხერხია. მისი **საფუძველია მოხარშული ხორცი და თევზეული (რომელთაგან ცხიმების გამოხარშვა ხდება, რაც მონელებას უწყობს ხელს). რეკომენდებული არ არის მათზე გარნირების მიყოლება (მოხარშულ ბოსტნეულში მეტი უჯრედანაა, რომელიც ორგანიზმიდან ნელა გამოდის). დიეტის დროს უნდა გამოირიცხოს ცომეული და ტკბილეული, ასევე მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს მარილის მოხმარება**.

ამის დამატებითი ბონუსი ისაა, რომ კრემლის დიეტა წონის შენარჩუნებასაც უწყობს ხელს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ზედმეტი კილოგრამები ხელს უწყობენ გულის დაავადებათა განვითარებასაც და გავრცელებასაც.

გარდა ამისა მიჩნეულია, რომ გულის ნორმალური მუშაობისთვის მეტად **მნიშვნელოვანია სრულფასოვანი ძილი, თუმცა კი ისიცაა, რომ ბევრი ძილი მის უკმარისობაზე არანაკლებად საშიშია. გულის ნორმალური მუშაობისთვის სულ მცირე 7 საათი ძილია საჭირო, თანაც მეტად მნიშვნელოვანია არა მარტო გამოძინება, არამედ დასაძინებლად ერთსა და იგივე დროს დაწოლა**. გულის შეკუმშვათა ციკლს ორი თავისებურება ახასიათებს — ის დღის მანძილზე ჩქარდება და საღამოზე, როცა ადამიანი დასაძინებლად წვება, ნელდება, რაც გულს აღდგენის შესაძლებლობას აძლევს. ამიტომაა, რომ დღის რეჟიმის დაცვა მუდმივადაა საჭირო.

რაც შეეხება გულთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემების არსებობის მინიშნებებს, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს უკმარისობა, რაც იმას ნიშნავს, რომ გული სისხლის საჭირო ოდენობით გადაქაჩვას ვეღარ ახერხებს. შესაძლოა, ეს გარკვეული დისკომფორტის სიდრომიც იყოს, თუმცა კი იმის ნიშანია, რომ გული შემოწმებას თხოულობს.

აუცილებელია წნევის რეგულარული გაზომვაც, ვთქვათ, ხშირად უბრალო თავის ტკივილი არტერიული ჰიპერტონიის ნიშანია. ამის გაკეთება 40 წლის ასაკიდანაა საჭირო, ხოლო ნორმალური წნევა ვერცხლისწყლის სინდიყის 120-80 მილიმეტრზე მეტი არ უნდა იყოს.

**მოამზადა**
**ნინო ალექსანდრიამ**

◎ შეუცნობელი

# მორფეოსის მინიშნებანი

**ადამიანები ყველა დროში დიდი გულისყურით ეკიდებოდნენ სიზმრებს და ცდილობდნენ ყოველდღიურ ცხოვრებაში მათ ერთგვარ მინიშნებად გამოყენებას. ისე კი, მართლაც საინტერესოა, შეუძლია თუ არა სიზმარს ჩვენთვის რაიმეს წინასწარ შეტყობინება?**

ოდესღაც თვლიდნენ, რომ სიზმრები — ესაა ღმერთების განსაკუთრებული ძღვენი, რომელიც ადამიანს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება. ამიტომაც, ძველ დროში სიზმრის ამხსნელები მხედართმთავრებს ომებში ახლდნენ, ანტიკურ რომში კი სიზმრებს სენატის სხდომებზე არჩევდნენ და მათ სწორად ახსნას ცდილობდნენ.

შემდეგ, დროთა განმავლობაში, სიზმრების მიმართ ინტერესი განელდა, თუმცა, თუკი გადმოცემებს ვენდობით, ზოგიერთი სიზმარი დიდი მეცნიერული აღმოჩენის ბიძგი გახდა, მათგან ყველაზე ცნობილი დიმიტრი მენდელეევის სიზმარია, თითქოსდა მან თავისი საქვეყნოდ ცნობილი ტაბულა ძილში ნახა.

სიზმრებს მართლაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში გარკვეული როლის შესრულება, ანდა ადამიანისთვის უსიამოვნების თავიდან არიდების შესაძლებლობის მიცემა. საქმე ისაა, რომ **სიზმარი — სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის ქვეცნობიერის მუშაობის შედეგი**. ხშირად ისე ხდება, რომ რეალურ ცხოვრებაში ზოგიერთი რაღაცის ბოლომდე აღქმა არ შეგვიძლია, ვცდილობთ, დავემალოთ გარკვეულ საგანგაშო ვითარებას, ქვეცნობიერება კი სიზმრის სახით გარკვეულ ნიშნებს გვიგზავნის და გამოსავალს გვკარნახობს.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა სიზმარი როდია მნიშვნელოვანი, ამის განსაზღვრა თავად მის მნახველ კაცს შეუძლია. **თუკი სიზმარი მკაფიოა და დაგამახსოვრდათ, თუკი გუნებაში მას ხშირ-ხშირად „ატრიალებთ“, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გარკვეული მინიშნება გესიზმრათ, რომლის უყურადღებოდ დატოვება ნამდვილად არ ღირს**. ხშირად ასეთი სიზმრები შინაგანი კონფლიქტის მოწმობებია და ზოგჯერ ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრის გზებს გვიჩვენებენ, ანდა ჩვენთვის მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხს გვცემენ.

**მაინც, რას ნიშნავს ესა თუ ის სიზმარი? ამაზე პასუხის გაცემა მხოლოდ თავად მის მნახველთ შეუძლია**. ამის გაკეთება რამდენიმე გზით შეიძლება. საამისოდ სიზმრის წიგნის ნახვაა საჭირო, ოღონდ ისეთი უნდა აირჩიოთ, რომელშიც სიზმარში ნანახის რამდენიმე ახსნაა, რომელთა შორის ის უნდა აირჩიოთ, რომელიც თქვენთვის უფრო ახლობელია: **ქვეცნობიერი არა მხოლოდ ძილში, არამედ ცხადშიც გელაპარაკებათ და სწორედ მან უნდა გიკარნახოთ, თუ რომელი ახსნა უფრო მიესადაგება თქვენს სიზმარს**. ამასთანავე, არ უნდა გეშინოდეთ „ცუდი სიზმრების“, რადგან ისინი უბრალოდ გაფრთხილებენ იმის თაობაზე, რომ უფრო მეტი გულისყურით უნდა მიუდგეთ თქვენს ჯანმრთელობას, ანდა გარკვეულ ვითარებას და ისე არ უნდა აღიქვათ, თითქოს ცუდ მომავალს გიქადიან.

სიზმრის ახსნის კიდევ ერთი გზაა ნანახი სახის გათავისება: საქმე ისაა, რომ ყველაფერი სიზმარში ნანახი, თქვენი საკუთარი „მე“-ს ნაწილია, ამდენად როცა ცუდ სიზმარს ცხადში „გაათამაშებთ“, მაშინ მიხვდებით, თუ რისგან ცდილობს თქვენს დაცვას თქვენივე ქვეცნობიერი. ამის შემდეგ კი რეალური შიშებიც სიზმრებთან ერთად გაგიქარწყლდებათ.

**დალი ხუნდაძე**

**რაგინდ „ბლიცი“ იყოს, ორიოდე სიტყვით მაინც წარმოგიდგენთ პიროვნებას, რომელიც ისედაც პოპულარულია არა მარტო თავის სამშობლოში, მის საზღვრებს გარეთაც. ეს გახლავთ უმშვენიერესი ქალბატონი, ოპერის მომღერალი ᲗᲐᲛᲐᲠ ᲘᲕᲔᲠᲘ, ხან „ლა სკალა“ რომ დგას რიგში მის მისაწვევად, ხან — „მეტროპოლიტენოპერა“...**

ის საკმაოდ დიდგვაროვანია (ფსევდონიმს ამოფარებული ჯავახიშვილი) და ასევე დიდსულოვანიც, „ფანჯარა“ რომ გამონახა და ინტერვიუზე დამთანხმდა.

**— გულითადი მადლობა, ქ-ნო თამარ, ამისათვის!**

# ᲐᲑᲐᲜᲝᲓᲐᲜ ᲐᲛᲐᲘᲕᲚᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲟᲣᲟᲣᲜᲐ ᲑᲘᲭᲘ(?!)

## ᲑᲚᲘᲪᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲗᲐᲛᲐᲠ ᲘᲕᲔᲠᲗᲐᲜ

— რას ბრძანებთ! მე თავადაც ჟურნალისტური სისხლი მირევია. ბაბუაჩემი, ივანე ჯავახიშვილი (ის დიდი მეცნიერი არა!), ცნობილი ჟურნალისტი იყო და გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ მოღვაწეობდა. იქ აჭაშნიკებდა ის ახალგაზრდა, დამწყებ ჟურნალისტებს. იმედია, დამიმოწმებენ დღეს უკვე ცნობილი ჟურნალისტები, ასე თათარიახნად რომ ჩამოვთვალო, ვთქვათ, იგივე არჩილ გოგელია, გიგლა გობეჩია, სოსო ჭუმბურიძე, გოჩა ხუნდაძე, ლაშა გახარია, თქვენი გაზეთის მთავარი რედაქტორი, ბატონი სპარტაკი და სხვები, მით უმეტეს, თქვენ! თქვენ ხომ ლამის ვანო პაპას თაობის ბრძანებულხართ!

**— გულახდილად გეტყვით, რომ თქვენთან გასაუბრება სწორედ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარმა რედაქტორმა მირჩია მას შემდეგ, რაც მე გავუზიარე ჩემი შთაბეჭდილება გამორჩეულ გაზეთ „ახალ თაობაში“ გამოქვეყნებულ თქვენს მონოლოგზე (სახეზე გაკვირვება აღებეჭდა). აი, ჩვენი ლიბერასტების ანუ ელგებეტისტების (ლგბტ) მიერ საზოგადოებაში შემოგდებულ თემას რომ ეხებოდა — კაცი რომ ქალს მიაშტერდება, სექსუალურ ძალადობად ჩაითვალოსო! (ღიმილმა გადაურბინა).**

— კი, ნამდვილად თითიდან გამოწოვილი რაღაცაა, ბატონო გიზო, ასეთი პრიმიტიული ბრალდება, თანაც მისი აგორება და ტირაჟირება უბადრუკ არგუმენტად მიმაჩნია.

რას ჰქვია, ნუ მიაშტერდება! ქალი თუ სანდომიანად, მიმზიდველად გამოიყურება, მამაკაცს, თუ ის ნამდვილი მამაკაცია, სულით ხორცამდე ჯანსაღი, ბუნებრივია, თვალშიაც მოუვა და, შესაძლოა, მიაშტერდეს კიდეც!

რაზეა საუბარი! ქვეყანაში, სადაც ფულისა და სულიერების ინფლაციაა, სადაც ჯერ კიდევ უკიდურესი ეკონომიკური სიდუხჭირე და დედა-ეკლესიაზე არცთუ ფარული შეტევაა, უფრო სერიოზული პრობლემა ვერ მოიძებნა გასარჩევად და განსასჯელად?!

**— ისინი აპელირებენ იმაზე, რომ, თუ გვინდა სრულყოფილი ევროპელები გავხდეთ, მაშინ ელგებეტისტების მიმართაც ევროპელებივით ლოიალურნი უნდა ვიყოთო. ყურმოკვრით ვიცი, რომ დიდად აღფრთოვანებულნი მათი აღვირახსნილობით არც იქ არიან.**

— რა თქმა უნდა! და რაო, ევროპეიზაცია ელგებეტისთვის გზის გავლით უნდა მოვახდინოთო?! მე მგონი, ეს აბრევიატურა — ლგბტ — ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის გასაშიფრი ჩანს: ლგბტ ანუ ლესბოსელთა, გეითა, ბისექსუალთა და ტრანსსექსუალთა ერთობლიობა.

**— თქვენს დროს ვუფრთხილდები, თორემ, თითოეული მათგანის განსაზღვრებაც არ აწყენდა საქმეს! თუმცა, მოზარდი თაობისთვის ასეთი „განათლებულობა“ არასასურველია.**

— წარმოგიდგენიათ? კაცი ქალს ნუ აშტერდებაო! აბა, ისა სჯობს, კაცი კაცს აშტერდებოდეს და ქალი — ქალს?! ღმერთო ჩემო, რას მომასწარი!

**— მაგას, ქალბატონო თამარ, თქვენ კი არა, მე უნდა ვამბობდე!**

— სწორს ბრძანებთ და, ვანო ბაბუ რომ ცოცხალი იყოს, საერთოდ შეიშლებოდა! ჰიჰ, კაცი ქალს ნუ აშტერდებაო... კაცი ქალს ნუ მიაშტერდებაო!..

...ძალაუნებურად მომიწევს ამონარიდების მოშველიება მართლაცდა მშვენიერი გაზეთის „ახალი თაობის“ პუბლიკაციიდან. მადლობა ჟურნალისტს, რომელსაც მართლაც ასე შნოიანად გაუმზადებია და თავად რატომღაც, ინკოგნიტოდ დარჩენილა!

„ოდითგანვე ქალი იმიტომაც ილებება სარკესთან საათობით, იმიტომ ხარჯავს დიდ დროს სილამაზის სალონებში, იმიტომ იხდის უკანასკნელ კაპიკებს იმ მაღალქუსლიან ფეხსაცმელებში, ვიტრინაში რომ მოეწონა, სწორედ იმიტომ დებს ხელფასის მოზრდილ ნაწილს შოპინგში, იმიტომ იხდის ათასებსა და ათიათასებს ტუჩებისა და მკერდის ამობურცვაში, ნაოჭების გაქრობასა და ბოტოქსებში, ფილერებში, პლაზმოლიფტინგებში და ა.შ., რომ მას ᲛᲘᲡᲨᲢᲔᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘ!“

რამდენადაც ვიცი, სწორედ „არატრადიციული“ ქალბატონები აქტიურობენ ასეთი კანონის მისაღებად. მიკვირს და გამკვირვებია!

ქალბატონებო, თქვენ თუ, თქვენი ჭკუით, მამაკაცების მოტყუებას ცდილობთ, მე რაღას მიპირებთ?! ნებისმიერი ქალი (და ამ ნებისმიერში მეც ვიგულისხმები!) დაადასტურებს, რომ მამაკაცის შეყოვნებული ჭვრეტა ყველა ქალს სიამოვნებს, მიუხედავად მისი ოჯახური მდგომარეობისა, რჯულისა და აღმსარებლობისა, თუ ის მართლაც ქალია, ანუ ჯანსაღი რჯულისა და ფსიქიკის მქონე! ვიმეორებ, ეს ყოველ ქალბატონს სიამოვნებს, რაგინდ ერთგული მეუღლეც იყოს! ჩვენი, ქალების ზნე ასეთი გახლავთ და თავს თვითონ ნუ იტყუებთ, რომ საპირისპიროში დაგვაჯერებთ! არ გამოვა!

**— ამას გარდა, მთელი მხატვრული ლიტერატურა, ხელოვნების უკლებლივ ყველა დარგი ქალისა და მამაკაცის ურთიერთლტოლვას არ ასახავს?! კლეოპატრა, ესმერალდა, ჯულიეტა, დეზდემონა, ბოლოს და ბოლოს, ნესტან-დარეჯანი თუ თინათინი, ნატაშა რასტოვა, შორენა კოლონკელიძე და უამრავი სხვა!**

— რა სიმძაფრის ვნებათაღელვა თუ რა დოზის ინტრიგები, გნებავთ, რაოდენი სისხლი შეიწირა იმათ მშვენიერებამ?!

სექსუალურ მოძალადედ მიაჩნიათ, ალბათ ლიბერასტებს, ვთქვათ, გიორგი ლეონიძე: „ქსანზე, არაგვზე ისევ ჰყვავიან ხოდაბუნები თავთუხებისა, შენი ტუჩებიც ისე ტკბილია, როგორც ბადაგი დადუღებისას“ ან იმავე ლეონიძის „აბანოდან ამაივლის თვალჟუჟუნა ქალი“...

**— პოეტს თვალჟუჟუნა ქალი მოსვლია თვალში, მაგრამ არამხოლოდ იმიტომ, რომ თვალები აქვს ჟუჟუნა, მთავარია, თეძოების რა ნარნარი რხევით ამოივლის იგი აბანოდან!**

— არ ღირს, ალბათ მთელი საოპერო კლასიკის მოშველიება, მე მხოლოდ შესანიშნავი საესტრადო მომღერლის, ქ-ნ **ნინო ქათამაძის** სიმღერას შეგახსენებთ, ანაზდად რომ მომადგა ენაზე: „აჰ, ტურფავ, ტურფავ, ნუთუ ვერა გრძნობ, გადარეული დავიარები“? და რატომ დაიარება გადარეული? იმიტომ, რომ მისი თვალები აგიჟებენ!..

**— როგორ მოვიქცეთ ახლა, „კანონმთხზველო“ ქალბატონებო, იმ ისედაც გადარეულ მამაკაცს ციხეში ვუკრათ თავი?! თუნდაც, ადმინისტრაციულად შევაწეროთ ათასები?! და ეს იქნება სამართლიანი?!**

— ჩემი აზრით, მთელი ეს წრიალი, კანონებისა და კოდექსების მუხლებისა და პარაგრაფების ჩხრეკა სწორედ იმ ქალების იდეა მგონია, რომლებსაც მამაკაცები არ აშტერდებიან ან არ მისშტერებიან...“

**— ჩემ გულში მჯდარხართ, ქ-ნო თამარ!**

— ან ძალიანაც მოუნდომებიათ, მაგრამ მაინც არ მისშტერებიან ან... ან თავად ისინი მისშტერებიან მას და ის კი (თავხედი!) მის დაქალს მისშტერებია... ჰოდა, ახლა შურისძიების შანსი ეძლევა...

ეგ კი არადა, დღეს, ლამისაა, საცვლებგადმოყრილებმა იარონ როგორმე მამაკაცების მიშტერების იმედით, მაგრამ — დაილოცოს, ღმერთო შენი სამართალი — მაინც არავინ აშტერდებათ! ქალის ხიბლი ხომ სულ სხვა, უხილავ დეტალებში იმალება, რასაც სწრაფი გამოყენების გარეგნულ ეფექტებთან საერთო არაფერი აქვს.

რაც შეეხება დასტვენას, ნამდვილი და ღირსეული ქალი ქუჩაში დასტვენილზე არ ირიაგირებს და საკუთარ თავს არ აკადრებს, რომ ის დასტვენილი მისი მისამართით ჩათვალოს. მეორე მხრივ, კი, დასტვენა აღფრთოვანების ნიშანიცაა და მას თამამად იყენებენ სტადიონებზე, სცენასა თუ წითელ ხალიჩებზე ვარსკვლავების მიმართ.

ტელეფონის ნომრის გამორთმევას რაც შეეხება, სადღეისოდ, ვერავინ ვერავის ვერ დაემალება. ტელეფონებისა და პეროიანი კალმებით წერის დრო, კაი ხანია, წავიდა!.. სოციალური ქსელებისა თუ ახლობელთა წრეების საშუალებით ნებისმიერ სასურველ ქალბატონთან გახვალთ კავშირზე...

...მთავარია, მას უნდა ჰქონდეს იმის ჭკუა და გონება — ვინ მიუშვას თავის „საძოვარზე“ და ვინ — არა.

იგივე პრინციპია გენიტალიებზე ხელის მოთათუნების თეორიაზეც, ანუ, როგორც რუსი ქალბატონები იტყვიან: „ნადა ზნატ, კამუ დატ!“ და სულაც არ სჭირდება ამ ამბავს პოლიციებში რეკვა და კოდექსების, მუხლებისა თუ პარაგრაფების შემოღება!..

**— რა ლოგიკურად და არგუმენტირებულად მსჯელობთ, ქალბატონო თამარ! ბევრ პოლიტიკოსს შეშურდებოდა, ალბათ, თქვენი ენამჭევრობის.**

— ბატონო გიზო, ყველანი ქალები ვართ, არც გარეგნობა გვაკლია და არც — სახელი. ფლირტიც გვქონია და მავანთა მიერ იმაზე ზედმეტის მცდელობა ყოველი ჩვენგანის ცხოვრებაში, ვიდრე ვაგრძნობინებდით, მაგრამ პოლიციებში არ გვირბენია და ტელესიუჟეტები არ გვიკეთებია. „ამან აქ მომისვა ხელი და იმან აქ მომდოს“ თემაზე.

და, ბოლოს, — ის მაღალინტელექტუალური და მოაზროვნე საზოგადოება, ის ძველი თბილისი, რომელიც თქვენ ჩემზე მეტად გემახსოვრებათ, თავისი ღირსშესანიშნავი ქალბატონებით, ჩემს ბავშვობაში რაც იყო და თქვენ დროს მით უმეტეს იქნებოდა, აწი სამწუხაროდ, აღარ განმეორდება...

ჰოდა, მაღალინტელექტუალურ, მაღალზნეობრივ საზოგადოებას რატომღაც არ დასჭირვებია ასეთი თემებით აპელირება! სხვათა შორის, ხომ ფაქტია, რომ სწორედ იმ „მამაკაცთა თავაშვებულობის“ ეპოქაში შეიქმნა მხატვრული კინოს, პროზისა და პოეზიის შედევრები სპეტაკი სიყვარულის თემაზე!..

და, საერთოდ კი, არსებობს რაღაც თემები (იმათ საყურადღებოდ, ვინც მიშტერებებს სექსუალურ ძალადობად მიიჩნევს), რაც საოცრად პირადულია და მისი აფიშირება თავადვე დაგამცირებს.

სხვათა შორის, ბრიტანეთის დედოფალი საკუთარ ტრუსს თვითონ, საკუთარი ხელით ირეცხავს. ასე რომ, დროა, ეს უსაფუძვლო ტორნადო ჩავახშოთ ჭიქაში!

**— ულრმესი მადლობა, ქალბატონო თამარ, ინტერვიუსთვის.**

— მადლობა თქვენც და „ახალ თაობასაც“, ასე რომ დაინტერესდით ყოველივე ამით! ნახვამდის.

P.S. ახლა კი იმაზე, რაც სათაურს ეხება: ასე დაასათაურებდა ავტორი ამ ლექსს, თვითონაც რომ გეი ყოფილიყო, მაგრამ არა, მარიხუანას ნაცვლად, მთელი ცხოვრება კახური სვა და მცხეთას უმტვრია საკეტურები!

**ᲒᲘᲖᲝ ᲖᲐᲠᲜᲐᲫᲔ**

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲚᲔᲑ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲡ

**ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘ ქვეყანამ ინდოეთში კინოფესტილავ** Indywood Film Carnival-**ზე მიიღო.**

ეროვნული კინოცენტრის ინფორმაციით, ფესტივალი წელს მესამედ გაიმართა და იგი კინოინდუსტრიის წარმომადგენლების დასაკავშირებლად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პლატფორმაა.

მათივე ცნობით, ღონისძიებაზე კინოტურიზმის კატეგორიაში საქართველო წლის საუკეთესო გადასაღებ ქვეყნად აღიარეს, სპეციალური სერთიფიკატი კი ინდოეთში საქართველოს ელჩმა ჩაიბარა.

პროგრამა „გადაიღე საქართველოში“ ეროვნული კინოცენტრისა და მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით უკვე მეორე წელია, მიმდინარეობს.

ამ ეტაპისთვის განხორციელებულია 9 კინოპროექტი, ქვეყანაში კი ინვესტიციის სახით შემოსულია 15 მილიონამდე ლარი.

# დიმიტრი არაყიშვილი

## ქართული საკომპოზიციო სკოლის ფუძემდებელი

**„ყოველ მომღერალს ჰყავს მისთვის განსაკუთრებით ახლობელი და საყვარელი კომპოზიტორი, ვის მუსიკაშიც იგი მთელ თავის არსებას აქსოვს. ჩემთვის ასეთია დიმიტრი არაყიშვილი, რომლის რომანსებს დღემდე ვმღერი. მისი აბდულარაბი კი მთელი ჩემი ცხოვრების განუყოფელ თანამგზავრად იქცა. მე მას ნამდვილ შედევრად ვთვლი“, – წერდა დავით გამრეკელი.**

დიმიტრი არაყიშვილი სამოღვაწეო ასპარეზზე XX საუკუნის დასაწყისში გამოდის, როცა ქართული პროფესიული მუსიკა ფეხს იდგამდა და ჯერ კიდევ ჩანასახის მდგომარეობაში იმყოფებოდა. რუსული იმპერიის გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნისთვის რაიმე ეროვნული ინტერესების წამოწყება და მისი დაცვა გმირობის ტოლფასი იყო, ხოლო დაკნინებული და დამცირებული ქართული კულტურა, ხალხური სიმღერა-გალობის მხატვრული და მუსიკალური ღირსებები – შელახული. სწორედ ამ დროს მოგვევლინა არაყიშვილი მშობლიური ხელოვნების დამცველად და მგზნებარე პროპაგანდისტად, რომელიც უამრავი წინააღმდეგობების მიუხედავად, გაბედულად და მთელი მონდომებით შეუდგა ქართველ ხალხში არსებული თვითმყოფადი საგანძურის შეგროვებას, ჩაწერას და მის გამოქვეყნებას. უკვე 900-იან წლებში, გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილ ერთ-ერთ სტატიაში იგი დაბეჯითებით ამტკიცებდა: **„დადგება დრო, როცა ქართული მუსიკა მოქალაქეობრივ უფლებას მოიპოვებს, როცა ქართული ხალხური მუსიკალური კულტურით დაინტერესდება მთელი მსოფლიო“**. ახდა დიდი კომპოზიტორის წინასწარმეტყველება: დღეს ჩვენი ეროვნული პოლიფონიური მუსიკა იუნესკოს მიერ აღიარებულია მსოფლიო არამატერიალური კულტურული საგანძურის შედევრად.

როგორც თავის ბიოგრაფიაში კომპოზიტორი გვამცნობს: პაპამისი თედო საარსებო საშუალების საძებნელად საქართველოდან ჩრდილო კავკასიაში გადასახლებულა, სადაც სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ, საბოლოოდ ქალაქ მოზდოკში დასახლებულა. აქ მან თურმე არყის გამოხდას მიჰყო ხელი და აქედან გამომდინარე, როგორც ამ საქმის კარგ მცოდნეს და სპეციალისტს, თანასოფლელებმა თედოს ზედმეტსახელი მეარყე შეარქვეს, რაც მისი გვარის არაყიშვილის წარმოშობის საფუძველი გამხდარა. თედოს გარდაცვალების შემდეგ კომპოზიტორის მამა ეგნატე ქალაქ ვლადიკავკავში გადასახლებულა, სადაც 1873 წელს დაიბადა დიმიტრი არაყიშვილი. მისი დედა ანა, კეთილი და ჭკვიანი ქალი ყოფილა. მიუხედავად დიდი ჯაფისა და შრომისა, იგი მაინც პოულობდა შვილებთან ურთიერთობისა და მეცადინეობის დროს (დიმიტრის ორი და და ორი ძმა ჰყავდა). **„დედა წარმტაცად გვიამბობდა ქართულ ზღაპრებს, თქმულებებს (მას განსაკუთრებულად უყვარდა თქმულება ამირანზე), ხოლო თუ მამაც ხასიათზე იყო, იგი ქართულ ხალხურ სიმღერებს გვიმღეროდა და მაშინ საღამო ჩემთვის ნამდვილ დღესასწაულად იქცეოდა“,** – იგონებს კომპოზიტორი.

დიმიტრის ბავშვობიდანვე გაუჩნდა მუსიკისადმი განსაკუთრებული სიყვარული და ინტერესი. მას შესანიშნავი სმენა და ხმა აღმოაჩნდა, სწრაფად ითვისებდა გაგონილ მელოდიებს. მის ახალგაზრდულ მეხსიერებას მყარად აღებეჭდა ცნობილი ქართული სიმღერები: „ახ, დილავ, დილავ“, „ორთავ თვალის სინათლევ“, გლეხური საგუნდო სიმღერა „ალილო“ და სხვა. აღსანიშნავია, რომ სწორედ ასეთი სახის სიმღერები ფართოდ იყო გავრცელებული იმდროინდელ ვლადიკავკავში. უკვე ათი წლის დიმიტრი ამ ქალაქის საეკლესიო გუნდში იწყებს სიმღერას.

არაყიშვილისთვის გარდამტეხი აღმოჩნდა ქალაქ არმავირში ლადო აღნიაშვილის მიერ დაარსებული სიმღერის გუნდის მოსმენა, რამაც უდიდესი როლი ითამაშა მის მსოფლმხედველობაზე და განსაკუთრებული ინტერესი გააჩინა ქართული სიმღერის მიმართ. ამის შესახებ იგი წერდა: **„უწინარეს ყოვლისა, განმაცვიფრა თვით გუნდის სურათმა – ყველა მონაწილეს ქულაჯა ეცვა. არასოდეს მენახა ქართველები ამ ძველებურ ეროვნულ ტანსაცმელში და ამან ჩემზე ძალიან სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ როცა გუნდმა ქართული სიმღერები წამოიწყო, გულწრფელ აღტაცებაში მოვედი. სურვილი დამებადა, თვითონ შემეთხზა. ამრიგად, ამ გუნდის კონცერტი იყო პირველი ბიძგის მომცემი ჩემი შემოქმედებითი მუშაობის დაწყებისთვის“.**

1890 წელს დიმიტრი ჩადის ქალაქ ეკატერინოდარში (ახლანდელი კრასნოდარი), სადაც მოღვაწეობდა საკმაოდ ცნობილი თვითმოქმედი მუსიკალური ჯგუფი, რომელიც შედგებოდა გუნდის და ორკესტრისგან. მალე იგი ამ გუნდის წევრი ხდება, რომლის სრულ რეპერტუარს თავისი გამორჩეული მუსიკალური სმენის წყალობით იოლად ეუფლება. ცოტა ხანში არაყიშვილი მოსკოვში ჩადის და სწავლას იწყებს ფილარმონიული საზოგადოების სამუსიკო-დრამატული სასწავლებლის თეორიისა და კომპოზიციის განხრით. არაყიშვილი აქ დიდი გულმოდგინებით მეცადინეობდა სადირიჟორო მიმართულების პედაგოგ კესისთან და თეორიის კლასის პედაგოგ კრუგლიკოვთან, რომლებმაც ნიჭიერი და გულმოდგინე მოსწავლის მიმართ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეს. კრუგლიკოვმა თავისი ბეჯითი მოსწავლე, კონსულტაციის მიზნით, პეტერბურგს მიავლინა გამოჩენილ

კომპოზიტორსა და პედაგოგს რიმსკი-კორსაკოვს, რომლის რჩევა-დარიგებამ ახალგაზრდა დიმიტრის სათანადო დახმარება გაუწია მისი შემდგომი მუსიკალურ-მხატვრული განვითარების და საკომპოზიციო ხელოვნების თვალსაზრისით.

1901 წელს არაყიშვილი ფილარმონიულ სასწავლებელს ამთავრებს, რა დროსაც მიიღო სპეციალური დიპლომი მუსიკოს-თეორეტიკოსის კვალიფიკაციით. ამ პერიოდის ქართულ პრესაში უკვე ჩნდება მისი საინტერესო წერილები: „სახალხო სიმღერების ჩამწერლების საყურადღებოდ“, „კიდევ საერო მუსიკის დაცვის შესახებ“, „ქართული მუსიკის მდგომარეობა“. აღნიშნულმა წერილებმა და მოსაზრებებმა მნიშვნელოვნად წასწიეს წინ ჩვენი ეროვნული მუსიკალური საუნჯის შესწავლის საქმე.

მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში ჩვენთან უკვე იყო ხალხური ხელოვნების შესწავლის ცდები, რომლის ინიციატორებიც ძირითადად მუსიკის მოყვარულები და ლიტერატურის მოღვაწენი იყვნენ, სამწუხაროდ, მათი საქმიანობა გარკვეულ ხარვეზებს და ნაკლოვანებებს შეიცავდა.

1901 წელს მოსკოვის უნივერსიტეტთან შეიქმნა ხალხური მუსიკალური შემოქმედების შესწავლის ჯგუფი, რომელიც შემდგომ ეთნოგრაფიულ კომისიად გადაკეთდა. დიმიტრი არაყიშვილი ამ კომისიის აქტიური წევრი ხდება. ამავე წელს ამ კომისიის დავალებით იგი ხალხური სიმღერის მოძიების და ჩაწერის მიზნით საქართველოში ჩამოვიდა. ეს იყო მისი პირველი ექსპედიცია მშობლიურ მხარეში. ეს თარიღი მნიშვნელოვანია არა მარტო მისი, როგორც მკვლევარის ბიოგრაფიისთვის, არამედ ქართული მუსიკალური ფოლკლორისტიკის ისტორიისთვისაც. მან მოიარა გორის, სიღნაღისა და თელავის მაზრები, საუკეთესო სიმღერები ჩაიწერა სოფლებში – აწყურში, ვაქირში, ხვედურეთსა და ხოვლეში. აქ მან 150-ზე მეტი ნიმუში აღნუსხა.

დიმიტრი არაყიშვილმა საქართველოში ხუთჯერ იმოგზაურა, შემოიარა ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონი, ფირზე გადაიტანა 600-მდე ხალხური სიმღერა-გალობა. ექსპედიციების შედეგად მოპოვებულ მასალას ეთნოგრაფიული კომისიის წევრებმა უმაღლესი შეფასება მისცეს. უნდა აღინიშნოს, რომ შეკრებილი სიმღერების ტექსტები და გამოკვლევები მეტად მნიშვნელოვანია ქართული პოეტური ფოლკლორის შესწავლის თვალსაზრისითაც. მომდევნო პერიოდში ყველა ეს მასალა ავტორმა სამ დიდ კრებულად გამოსცა, რითაც საქვეყნოდ წარმოაჩინა ეროვნული ხალხური შემოქმედების უტყუარი თვითმყოფადობა და მისი მუსიკალური ღირებულებები.

1906 წელს მოწინავე რუს მუსიკოსებთან ერთად დიმიტრიმ მოსკოვში საფუძველი ჩაუყარა „სახალხო კონსერვატორიას“, სადაც თვითონაც ასწავლიდა. ორი წლის შემდეგ მისი პირადი თაოსნობითა და ინიციატივით დაარსდა ჟურნალი „მუზიკა ი ჟიზნ“, რომელსაც რამდენიმე წელი თვითონვე რედაქტორობდა.

1908 წელს არაყიშვილი პირველად გამოდის მოსკოვის მუსიკალური საზოგადოების წინაშე მოხსენებით: „აღმოსავლურ მოტივები რუს კომპოზიტორთა შემოქმედებაში“, რამაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა მუსიკალურ წრეებსა და პრესაში. იგი თითქმის ყველა გამოჩენილი რუსი კომპოზიტორის შემოქმედებას შეეხო, განსაკუთრებით კომპოზიტორ ბოროდინის ნაწარმოებებს: **„ბოროდინის ცხოველმყოფელმა სახეებმა, ნათელმა ემოციურმა ლირიკამ, აღმოსავლეთის განსახიერების იშვიათმა ოსტატობამ მომხიბლეს უშუალობით, მხატვრული ძალით“,** - ამბობდა იგი.

უკვე ამ პერიოდში კომპოზიტორი მთელი მონდომებით იწყებს საკუთარი მუსიკალური ნამუშევრების გამოქვეყნებას, რომლებმაც მას შემდგომ საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი. ქმნის ოცდაათამდე საუკეთესო რომანსს, ოპერას „თქმულება შოთა რუსთაველზე“, რომელიც თბილისის ოპერის სცენაზე 1919 წელს დიდი წარმატებით დაიდგა, სიმფონიურ სურათს „ჰიმნი ორმუზდს“, უამრავ საგუნდო ნაწარმოებს, სიმფონიებს, კანტატებს. მოგვიანებით მან საზოგადოებას წარუდგინა კომიკური ოპერა „დინარა“.

1913 წლის 8 ივნისს თბილისში შედგა დიმიტრი არაყიშვილის პირველი საავტორო კონცერტი, მისივე დირიჟორობით. შესრულდა ნაწყვეტები ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“, „ჰიმნი ორმუზდს“, რომანსები და მის მიერ დამუშავებული ქართული ხალხური სიმღერები. კონცერტმა უდიდესი წარმატებით ჩაიარა და ჩვენი საზოგადოების მოწონება დაიმსახურა.

1918 წელს არაყიშვილი საცხოვრებლად საქართველოში გადმოვიდა. მის მიზანს მუსიკოსთა ახალგაზრდა თაობის აღზრდა - დაკვალიანება, პროფესიული დონის ამაღლება წარმოადგენდა. 1921 წელს მისი პირადი ინიციატივით თბილისში დაარსდა მეორე კონსერვატორია, რომლის ბაზაზე ჩამოყალიბდა საოპერო სტუდია, საგუნდო კლასი და სიმებიანი კვარტეტი. 1926-30 წლებში იგი იყო კონსერვატორიის (1923 წელს ორივე კონსერვატორია გაერთიანდა) დირექტორი, კათედრის გამგე, საკომპოზიციო ფაკულტეტის დეკანი. 1932 წელს სათავეში ჩაუდგა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირს.

დიმიტრი არაყიშვილის შემოქმედების ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი მიმართულება კამერულ-ვოკალური მუსიკაა. ამ ჟანრში კომპოზიტორმა ხალასი ნიჭიერება, გამორჩეული უნარ-ჩვევები გამოავლინა და ჭეშმარიტად უმაღლესი კლასიკური დონის ნაწარმოებები შექმნა. მისი გასაოცარი რომანსები ჩვენი ცხოვრების თანამგზავრებად იქცნენ, რომლებიც გამოირჩევიან მრავალმხრივი მელოდიურობით და შინაგანი გამომხატველობით, საშემსრულებლო თვისებებით და კოლორიტულობით... განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კომპოზიტორის მიერ შექმნილი ბრწყინვალე რომანსები: „ივერიის მთებზე“, „ნუ მღერი, ლამაზო“, „აღსდექ, შეინავარდე“, „ვარდ-ყვავილთა სამეფო“, „სიოვ, ნაზო“, „ვარსკვლავიანსა ღამეს“, „მე შენ გელი“, „ღამეა ბნელი“, „შემოღამდება“, „ურმული“ და სხვა. ეს რომანსები ფართოდ გავრცელდა ხალხში, მყარად დამკვიდრდა საკონცერტო თუ სტუდენტ-მოსწავლეთა სასიმღერო რეპერტუარში. ამ რომანსებზე არა ერთი თაობა აღიზარდა, მათ შორის მეც, რომლებიც ჩემი საკონცერტო პროგრამის განუყოფელ ნაწილს შეადგენდნენ.

მრავალმხრივი და შთამბეჭდავია არაყიშვილის მთელი საკომპოზიტორო შემოქმედება, რომელიც მყარად დამკვიდრდა ქართული კლასიკური მუსიკის ოქროს ფონდში. მან ჩუყარა მეცნიერული საფუძველი ჩვენს მუსიკალურ ფოლკლორისტიკას, მანვე აღზარდა არა ერთი თაობა ამ მიმართულებით. ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახალხო არტისტისა და სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება, არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

ალბათ გამოკვეთილ აღნიშვნას იმსახურებს მისი პირადი ადამიანური თვისებები. ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ერთად იგი გამორჩეულ უშუალობასაც ამჟღავნებდა, იყო საინტერესო მოსაუბრე და გააჩნდა არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობა. თვით უარყოფითი შეხედულების დროსაც კი ცდილობდა თავისი მოსაზრების შელამაზებას ისე, რომ გული არავის სტკენოდა, რაც მის თანამედროვეთა შორის უდიდეს სიმპატიას და გამორჩეულ სიყვარულს იმსახურებდა.

დიმიტრი არაყიშვილი გარდაიცვალა 1953 წელს, 80 წლის ასაკში. ამ დიდი მუსიკოსის, პედაგოგის და პიროვნების სახელთანაა დაკავშირებული ჩვენი მუსიკალური კულტურის გარკვეული ეპოქა. სხვა ცნობილ ქართველ კომპოზიტორებთან ერთად იგი აღიარებულია ეროვნული საკომპოზიციო სკოლის ფუძემდებლად და დამაარსებლად.



**გელა ჟოჟიაშვილი,**
**რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი.**

## გიდები გადამზადების კურსს გადიან

**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით 12 გიდს საერთაშორისო ტრენერები ამზადებენ, სასწავლო კურსი 8 დეკემბერს დაიწყო და 20 დეკემბრს დასრულდება.** სწავლების პირველი ეტაპი თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას მოიცავს. ტრენინგი წინასწარ შერჩეულ მუზეუმებში, ძველი თბილისის საფეხმავლო და სატრანსპორტო მარშრუტებზე გაიმართება. მეორე ეტაპზე გიდებს ზეპირი და წერითი ტესტირება ჩაუტარდებათ და გიდების ასოციაციების მსოფლიო ფედერაციის აკრედიტაციას გაივლიან. WFTGA-ს აკრედიტებულ ტრენერებს უფლება ექნებათ, გიდის პროფესიის შემსწავლელი კურსები ჩაატარონ. ტრენინგის მონაწილეებს ეროვნულ მუზეუმში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე შეხვდა.

## წაიკითხეთ და ისიამოვნეთ, ნაციონალებო!

# სააკაშვილის ქცევა მისი ფსიქიკური სტაბილურობის შესახებ ეჭვებს ბადებს

**საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ბოლოდროინდელ უკრაინულ თავგადასავლებს ამერიკული გამოცემა „THE NATIONAL INTEREST“-ი ჟურნალისტ ტედ კარპენტერის სტატიით ეხმაურება, რომლის შემოკლებულ ვერსიას საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გვთავაზობს:**

ზესახელმწიფოსთვის, რომელსაც ბევრი სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირე ჰყავს, ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორი, „წყალქვეშა კლდე“, არის ის, რომ მისი მოკავშირეები ერთმანეთის მიმართ მტრობას ამჟღავნებენ. ბოლო წლებში მსგავსი ფაქტები – სერიოზული და მოჩვენებითიც – არაერთხელ მომხდარა. ჩამონათვალი საკმაოდ გრძელია: პერიოდული დავები სამხრეთ კორეასა და იაპონიას შორის, კუნძულ ტაკეშიმას კუთვნილებასთან დაკავშირებით; დაპირისპირება თურქეთის ხელისუფლებას და ქურთების სამხედრო დაჯგუფებას შორის: ქურთები აშშ-ის მოკავშირეები არიან „ისლამურ სახელმწიფოსთან“ წინააღმდეგ ბრძოლაში, თურქეთი კი, რომელიც ასევე აშშ-ის მოკავშირეა (ნატოს ჩარჩოებში), ქურთებს საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის მთავარ მტრად მიიჩნევს.

აშშ-ის მოკავშირეებს (შეიძლება ითქვას – კლიენტებს) შორის გვხვდება ისეთი დაპირისპირებებიც, რომლებიც უფრო ფარსს მოგვაგონებს და მაინცდამაინც სერიოზული საფრთხის მომტანი არაა. ამის მაგალითია ის კომიკური კონფრონტაცია, რომელიც საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და უკრაინის პრეზიდენტს პეტრო პოროშენკოს შორის მიმდინარეობს. მისი კულმინაცია გახდა პეტრო პოროშენკოს მცდელობა მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრების მიზნით, კორუფციისა და საზღვრის დარღვევის ბრალდებით. თავის მხრივ, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ეწინააღმდეგებოდა დაპატიმრებას და თვითმკვლელობითაც კი დაიმუქრა, შენობის სახურავიდან გადმოხტომით. მიხეილ სააკაშვილის ამგვარი ქცევა მისი ფსიქიკური სტაბილურობის შესახებ ეჭვებს ბადებს.

აშშ-ის ადმინისტრაცია ორივეს დიდი ხანია, თვლის დემოკრატიული კაპიტალიზმის მხარდამჭერად, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ამგვარ რეპუტაციას არც ერთი არ იმსახურებს .

მიხეილ სააკაშვილი „ვარდების რევოლუციას“ ხელმძღვანელობდა, რომელმაც 2003 წლის ნოემბერში პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის კორუმპირებული რეჟიმი დაამხო. ჯორჯ ბუშ-უმცროსი და აშშ-ის მაშინდელი სხვა ხელმძღვანელები საქართველოში მომხდარ პოლიტიკურ გადატრიალებას და მის არქიტექტორს ენთუზიაზმით შეხვდნენ. ჯორჯ ბუშმა, რომელიც თბილისში 2005 წლის მაისში იმყოფებოდა, თავის გამოსვლაში საქართველოს „თავისუფლების შუქურა“ უწოდა, მიესალმა თვითმარქვია დემოკრატებს და მხარი დაუჭირა მსოფლიოში მსგავს რევოლუციებს. „საქართველო დემოკრატიულ საზოგადოებას აშენებს, სადაც უმცირესობის უფლებები დაცულია, ყვავის თავისუფალი პრესა, უზრუნველყოფილია ოპოზიციის აქტიურობა და ერთიანობა მშვიდობიანი გზებით მიიღწევა“, – ამბობდა ჯორჯ ბუში. უფრო შორს წავიდნენ ჰილარი კლინტონი და ჯონ მაკკეინი, რომლებმაც მიხეილ სააკაშვილი ნობელის მშვიდობის პრემიაზე წარადგინეს.

**მოგვიანებით ჯორჯ ბუში საქართველოს, ნატოში მიღების მიზნით, ლობირებასაც გაუწევს, მაგრამ წარუმატებლად. ქართველი ლიდერის დაუფიძრებელი ნაბიჯები 2008 წელს, რომლებმაც ძვეყანა რუსეთთან ომამდე მიიყვანა, იმის დემონსტრაციაა, თუ რამდენად საშიშია მსგავსი ძვეყნის ალიანსში მიღება და მისთვის უსაფრთხოების გარანტიების მიცემა აშშ-ის მხრიდან.**

**მიხეილ სააკაშვილის მთავრობის მიერ გატარებულმა საშინაო პოლიტიკამაც ასევე აჩვენა, რომ აშშ-ის ენთუზიაზმი ე.წ. დემოკრატ-რეფორმატორის მიმართ უსაფუძვლო იყო. 2007 წლის დეკემბერში ორგანიზაცია HUMAN RIGHTS WATCH-მა გამოაძვეყნა მოხსენება საქართველოს მმართველი რეჟიმის მიერ პოლიტიკური ოპონენტების მიმართ ჩადენილ რეპრესიებზე და დამოუკიდებელი პრესის დევნის შესახებ. მომდევნო წლებში ხელისუფლების ასეთი ბოროტად გამოყენება გრძელდებოდა, გაღრმავდა კორუფციაც. 2012 წელს ქართველ ამომრჩეველს, როგორც ჩანს, ყელში ამოუვიდა მიხეილ სააკაშვილისა და მისი თანამზრახველების ხელისუფლებაში ყოფნა და მის პარტიას ხმა აღარ მისცა. როცა ახალმა მთავრობამ კორუფციის ფაქტების გამოძიება დაიწყო, მიხეილ სააკაშვილი ძვეყნიდან გაიძცა.**

**ტედ კარპენტერი**
„The National Interest“ (აშშ)

# სააკაშვილი მაქსიმალურად ეცდება, დააჩქაროს პოროშენკოს ეპოქის დასრულება

**ოდესის ოლქის ექსგუბერნატორის მიხეილ სააკაშვილის კიევურ პერიპეტიებს, სასამართლო პროცესს გავლენიანი გერმანული „DEUTSCHE WELLE“, სერგეი რუდენკოს სტატიით ეხმაურება.**

კიევის სასამართლოს გადაწყვეტილებით, მიხეილ სააკაშვილი პატიმრობიდან გათავისუფლდა, მაგრამ პროკურატურა აცხადებს, რომ საქმეს გასაჩივრებს. მართალია, ასეთ სიტუაციაში ხელისუფლებას პოლიტიკური მანევრის შესაძლებლობა აქვს, მაგრამ პეტრო პოროშენკოს მიერ შექმნილი სისტემა უკვე განწირულია, მას ფიასკო ემუქრება. დღევანდელი პრეზიდენტი და მისი გუნდი თავის პოლიტიკურ დასასრულს სწრაფი ტემპით უახლოვდება.

**ყველაფერი, რაც კი მიხეილ სააკაშვილს ბოლო ორ წელიწადს გადახდა უკრაინაში, პოლიტიკურ ტრილერს მოგვაგონებს. აბა, შეხედეთ სქემას: პეტროსთან მეგობრობა – უკრაინის მოქალაქეობა – ოდესის ოლქის გუბერნატორობა – გადადგომა – მოქალაქეობის ჩამორთმევა – სისხლის სამართლის საქმის აღძვრა – დაპატიმრება – იზოლატორი... და ეს ყველაფერი მხოლოდ ერთი პიროვნების – უკრაინის ოპოზიციის ლიდერის მიმართ! შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ სააკაშვილმა უკრაინის ყველა „უნივერსიტეტში“ სწავლება ექსტერნის წესით გაიარა. ანუ ქვეყნის პრეზიდენტთან მეგობრობა-სიყვარულიდან მისი ხელისუფლების სიძულვილამდე.**

იმ სამართალდარღვევებმა და ბრალდებებმა, რომლებსაც გენპროკურატურა მიხეილ სააკაშვილს უყენებს, ერთი მხრივ, შეიძლება წერტილი დაუსვას მის პოლიტიკურ კარიერას, მაგრამ მეორე მხრივ, მიხოს ხელისუფლების მთავარ ოპონენტად წარმოაჩენს. საქართველოს ექსპრეზიდენტი, გამოცდილი სერფერის (სერფინგის მოყვარულის) მსგავსად, უკრაინის პოლიტიკური ცხოვრების მაღალ ტალღაზე რჩება და იქ იქნება იმ შემთხვევაშიც, თუ მას საბოლოოდ მაინც დააპატიმრებენ. მოკლედ, ბოლო ნახევარ წელიწადში მიხეილ სააკაშვილი პეტრო პოროშენკოს მთავარ მოწინააღმდეგედ იქცა და თვით იულია ტიმოშენკოსაც კი აჯობა.

ექსპრეზიდენტ- ექსგუბერნატორს წინ სასამართლო პროცესი ელოდება. გენერალური პროკურატურისათვის, რომელიც ერთხელ უკვე ჩაფლავდა, იოლი არ იქნება, მომდევნო სხდომაზე მიხოს მიმართ წაყენებული ბრალის დამტკიცება. თავისუფლად მყოფი მიხეილ სააკაშვილი, რა თქმა უნდა, სასამართლოს ვერდიქტის გამოტანამდე მაქსიმალურად შეეცდება, დააჩქაროს პეტრო პოროშენკოს ეპოქის დასრულება, რაც, კაცმა რომ თქვას, უკვე ისედაც ნათელია. წაყენებული ბრალდებები მიხოს უფრო აქტიური მოქმედებებისაკენ უბიძგებს, რასაც ხელს უწყობს მოსახლეობის ნეგატიური განწყობა ქვეყნის ხელისუფლების მიმართ.

### მიხეილ სააკაშვილის პიკი

**წინასწარი დაკავების იზოლატორიდან გამოსვლის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკური დიდების ზენიტში მოექცა.** იმაზე, თუ როგორ მოიქცევა იგი ახლა, დამოკიდებულია არა მარტო მისი ბედი, არამედ უკრაინის სახელმწიფოს ბედიც. ფაქტია, რომ ბოლო დრომდე საქართველოს ექსპრეზიდენტი მძიმედ მიდიოდა კონტაქტებზე უკრაინელ პოლიტიკოსებთან (უფრო სწორად, მათთან ურთიერთობისას ყოველთვის „ზემოდან იყურებოდა“). მისი ქედმაღლური ქცევა პოლიტიკური პროცესის ბევრ მონაწილეს აღიზიანებდა - განა ვინ არის ისეთი, რომ თავის პირობებს გვკარნახობსო...

შეიცვალა თუ არა „ნაპატიმრალი“ მიხეილ სააკაშვილი? საეჭვოა. თუმცა მას, ალბათ, ესმის, რომ იმავე იულია ტიმოშენკოს მხარდაჭერის გარეშე, რომელიც მას სასამართლოს სხდომაზე თავდებადაც კი დაუდგა, მიხოს პოლიტიკური სიცოცხლე უკვე წარმოუდგენელია. თავის მხრივ, ოპოზიციაც, ალბათ, კარგად ხვდება, რომ ისინი მიხოსთვის პოლიტიკური მიზნების მისაღწევი ინსტრუმენტები კი არ არიან, არამედ თანაბარუფლებიანი პარტნიორები სამომავლო ხელისუფლებისათვის ბრძოლაში.

როგორც არ უნდა იყოს, „მიხეილ სააკაშვილის ფაქტორი“ უკვე სერიოზულ გავლენას ახდენს უკრაინის პოლიტიკაზე. უეჭველია, რომ საქართველოს ექსპრეზიდენტის ირგვლივ განვითარებულმა პერიპეტიებმა ხელი შეუწყო სიტუაციის სწრაფ განვითარებას. უკრაინის ხელისუფლება ნდობას კარგავს. ომის ფონზე არსებული ტოტალური კორუფცია და ქვეყნის მოსახლეობის შემდგომი გაღატაკება ხალხს ქუჩაში გამოსვლებისაკენ უბიძგებს. ისინი იქ მიხეილ სააკაშვილის სიყვარულის გამო კი არ მიდიან, არამედ პეტრო პოროშენკოსა და მისი სისტემის სიძულვილის გამო. კითხვა – ვის შეუძლია ამ სისტემის შეცვლა პრეზიდენტის სავარძლიდან – ჯერჯერობით უპასუხოდ რჩება.

### იური ლუცენკოს ბედი: გადადგება?

**მიხეილ სააკაშვილის საქმე ნელ-ნელა უკრაინის გენპროკურორ იური ლუცენკოს ღირსების საქმედ გადაიქცა.** ყურადღება მიაქციეთ: ლუცენკოსთვის მთავარია არა ვიქტორ იანუკოვიჩის სახელმწიფო ღალატის ან ევრომაიდნის მონაწილეთა დახვრეტის საქმე, არამედ თავისი ყოფილი მეგობრის წინააღმდეგ აღძრული საქმე. დღეს ისინი სახელისუფლო ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ. უფრო მეტიც – პირველი მეორეს სახელმწიფო გადატრიალების სამზადისში ადანაშაულებს, თანაც რუსული ფულის დახმარებით. ამგვარი ხმაურიანი განცხადებების შემდეგ იური ლუცენკოს აუცილებლად ჭირდება სასამართლოში გამარჯვება. სხვა შემთხვევაში იგი იძულებული გახდება (როგორც მინიმუმი), თანამდებობას გამოემშვიდობოს.

იური ლუცენკო გამოცდილი პოლიტიკური მოთამაშეა. თავის დროზე იგი აქტიურად გამოდიოდა პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას წინააღმდეგ, იყო ვიქტორ იუშჩენკოს ოპონენტიც, ორი წელი ციხეშიც იჯდა ვიქტორ იანუკოვიჩის პრეზიდენტობის დროს. იური ლუცენკო, მიხეილ სააკაშვილის მსგავსად, მიჩვეულია მაღალი პოლიტიკური ფსონების დადებას, მაგრამ დღევანდელ ისტორიაში იგი დამოუკიდებელ თამაშს კი არ ეწევა, არამედ პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს გუნდის წევრია...

**როგორც ჩანს, იმის გათვალისწინებით, რომ იური ლუცენკო აცხადებს – „სააკაშვილ-კურჩენკოს სატელეფონო საუბრის ექსპერტიზაში საერთაშორისო სპეციალისტებს ჩავრთავო“, გამოდის, რომ გენერალური პროკურორი ბოლომდე ბრძოლას აპირებს, მაგრამ მზადაა თუ არა ამისთვის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო, ეს რთული საკითხია. ერთია, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, მეორეა, სასამართლოსგან სასურველი ვერდიქტის მიღება და მისი ციხეში ჩაჯენა. მოკლედ, რაც არ უნდა მოხდეს, იური ლუცენკოს პროკურორული ბედი და პოლიტკარიერა მთლიანადაა დამოკიდებული უკრაინის დღევანდელ პრეზიდენტზე.**

**P. S. საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ სტატიისთვის გამოყენებული ფოტო გერმანული ორიგინალის ანალოგია**

**სერგეი რუდენკო**
„Deutsche Welle“ (გერმანია)

# ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲔ

## ᲐᲜᲖᲝᲠ ᲭᲘᲗᲐᲜᲐᲕᲐ – 80

ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲐᲜᲖᲝᲠ,

გულითადად გილოცავთ დაბადებიდან 80 და ენერგეტიკის დარგში მუშაობის 57წელს!

ბატონი ანზორ ჭითანავა დაიბადა 1937წ. 16 დეკმბერს. 1960წ. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის კვალიფიკაციით. 1960-1975წწ. მუშაობდა ინსტიტუტ „ჰიდროპროექტის“ თბილისის განყოფილების ინჟინრად, მთავარი ინჟინრის მოადგილედ, ტექნიკური განყოფილების უფროსად, ხოლო 1975წ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. 1976-1980 წწ. აირჩის „ენგურჰესის“ მშენებლობის პარტიული კომიტეტის მდივნად, 1980-2008 წწ. თბილისის „ჰიდროპროექტის“ დირექტორად. მისმა საქმიანობამ დიდი როლი შეასრულა „ენგურჰესის“, ჟინვალის ჰიდროკომპლექსის, ვარციხის ჰესების კასკადის მშენებლობების ბოლო ეტაპზე დაფინანსებისა და ტექნიკური გადაწყვეტილებების სრულყოფის საქმეში, ინსტიტუტის სამეცნიერო ტექნიკური დონისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებაში. განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის მშენებარე და პერსპექტიული ჰიდროენერგეტიკული ობიექტების გარემოზე ზემოქმედების უარყოფითი შედეგების შერბილების საკითხების დამუშავებაში. მისი ხელმძღვანელობით მშენებარე ობიექტებზე დამატებით დამტკიცდა ენერგეტიკული, ეკოლოგიური და სოციალური პრობლემების დაბალანსებისათვის საჭირო ტექნიკური და ფინანსური დოკუმენტაცია, გადაისინჯა მდინარების გამოყენების ადრე დამტკიცებული სქემები. 1983წ. მისი ხელმძღვანელობით შედგა ბორჯომის რეგიონისათვის მცირე ჰესების აღდგენის, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის პერსპექტიული გეგმა. გამოვლინდა მისი განხორციელების მიზამშეწონილობა ლოკალური ენერგეტიკული და სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტისათვის. 1992წ. ნაშრომს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების კონცეფცია-პროგრამა“ მიენიჭა საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრემია. გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი ენერგეტიკის აქტუალურ საკითხებზე, რომელთა უმრავლესობა საავტორო უფლებებითაა დაცული. არჩეულია მაღალი კაშხლების და კლდოვანი ფუძე-საძირკვლების საერთაშორისო კომისიების წევრად. არის საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ადგილობრივი და საერთაშორისო ჟურნალებისა და გამოცემების სარედაქციო კოლეგიის წევრი. 2008-2012წწ. საინჟინრო და საკონსულტაციო კომპანია „ჯგუფი გროს ენერჯი“-ს გენერალური დირექტორია. კომპანიის მიერ ცნობილ უცხოურ ფირმებთან ერთად შესრულებული შრომები საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ ინვესტორთა დაინტერესების წყაროდ არის მიჩნეული და საქართველოში ჰიდროენერგეტიკის პრიორიტეტულ განვითარებას ემსახურება.

ბატონ ანზორს მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, მადლობა და სიგელი. მინიჭებული აქვს „სსრკ საპატიო ენერგეტიკოსის“ წოდება, არის საქართველოს დამსახურებული ინჟინერი. დაჯილდოებულია „ოქტომბრის რევოლუციის“, „შრომის წითელი დროშის“, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით.

ბატონო ანზორ, დიდი მადლობა თქვენ, თავდადებული და უმწიკვლო მრავალწლიანი შრომისთვის სამშობლოს საკეთილდღეოდ!

კიდევ ერთხელ გილოცავთ საიუბილეო თარიღს!

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ;**
**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ;**
**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ;**
**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ.**

# ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲐ ᲭᲘᲠᲡ, ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲮᲔᲚᲘ ᲙᲘ ᲡᲐᲜᲗᲚᲘᲗ ᲡᲐᲥᲔᲑᲐᲠᲘᲐ!

**ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ ადამიანების დასაქმება ძალიან ჭირს. ერთი მხრივ, ეს გამოწვეულია ეკონომიკის სისუსტით და ბიზნესის განუვითარებლობით, მაგრამ ამავე დროს კვალიფიციური მუშახელის პოვნაც საკმაოდ გართულებულია.** შესაბამისად, სოფლებიდან სამსახურის საძებნელად ხალხი მუდმივად ქალაქებისკენ მიემართება და მათი გადაადგილების არეალიც თანდათან ფართოვდება.

**მთელი ქვეყნის დასაქმებულთა 64% დედაქალაქში მუშაობს. რეგიონებში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით 9.3%-ით აჭარის რეგიონი ლიდერობს. მას შემდეგ მოსდევს იმერეთი - 7.0%. მესამე ადგილზეა ქვემო ქართლი — 5.5%, რომელსაც მოჰყვება სამეგრელო-ზემო სვანეთი - 3.9%-ით. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში სხვა რეგიონებში დასაქმებულთა ზუსტი პროცენტული მაჩვენებელი აღნიშნული არ არის, თუმცა აშკარაა, რომ დანარჩენი რეგიონების მონაცემები კიდევ უფრო დაბალი იქნება.**

**„საქსტატის“ მონაცემებით, 2016 წელს საქართველოში 1 763 000-მდე ადამიანი იყო დასაქმებული. 2014 წლის საყოველთაო აღწერის თანახმად, ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 3 729 635 ადამიანს შეადგენს. აქედან 1 591 000-მდე ადამიანი რეგიონებში ცხოვრობს, 2 128 500 კი — ქალაქებში.**

რეგიონებში დასაქმებულთა სტატისტიკა აშკარად დამაფიქრებელია, ისევე, როგორც ქვეყნის მასშტაბით არსებული უმუშევრობა. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობაა და მეორე მხრივ, მცირე და საშუალო ბიზნესის დაბალი განვითარების დონე. გარდა ამისა, ქვეყანაში საკმარისი ოდენობით კვალიფიცირებული მუშახელიც აღარ არის, რაც საკადრო პრობლემების წინაშე აყენებს დამსაქმებელს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდიც საქართველოში ბიზნესის წარმოების ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობას ასახელებს. ფონდის მუდმივმოქმედი წარმომადგენელი ფრანსუა პეშო ამბობს, რომ სტრუქტურული რეფორმების გატარებისას ქვეყანამ აქცენტი სწორედ განათლების რეფორმაზე უნდა გააკეთოს, რაც კადრების კვალიფიკაციის ამაღლებასაც შეუწყობს ხელს.

**„კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა არის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი საქართველოში ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებით. საქართველოს მთავრობა მსოფლიო ბანკთან ერთად დღეს მუშაობს განათლების რეფორმაზე, რომელიც აქცენტს გააკეთებს უწყვეტ განათლებაზე, ასევე პროფესიულ სწავლებაზე და შეიმუშავებს სტანდარტიზებული შეფასების სისტემას პედაგოგებისთვის“,** — ამბობს პეშო.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი პაატა არო-შიძე გარკვეულწილად ადასტურებს სსფ-ს წარმომადგენლის მოსაზრებას მუშახელის კვალიფიცურობასთან დაკავშირებით. მისი ინფორმაციით, ქვეყანაში მოთხოვნა არის ფაბრიკა-ქარხანების ამოქმედებაზე, თუმცა რეალური მუშახელი, რომელიც შეძლებს დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, არ არსებობს და შესაძლოა, ასეთი ობიექტები მომავალში მეზობელი ქვეყნების ხარჯზე შეივსოს.

**ᲑᲔᲥᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ**

◎ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲡᲕᲔᲢᲘ

# ᲡᲐᲓ, ᲠᲐ, ᲠᲝᲓᲘᲡ, ᲕᲘᲜ?

## ᲗᲐᲠᲘᲦᲘ, ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ, ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ

**1933 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ,** მას შემდეგ, რაც სსრკ-ის გაერთიანებულმა სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ (ᲝᲒᲠᲣ) მოსკოვსა და ლენინგრადში ჩაატარა სპეცოპერაცია იმ პირთა გამოსავლენად, რომლებზეც ჰომოსექსუალობის ეჭვი ჰქონდათ (დააპატიმრეს 130 კაცი), პოლიტსამმართველოს თავმჯდომარემ გენრიხ იაგოდამ ხელისუფლებას შესთავაზა, გამოეცათ შესაბამისი კანონი პედერასტების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისთვის.

**1933 ᲬᲚᲘᲡ 17 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ** გამოქვეყნდა სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკ-ის) დადგენილება, რომელზე დაყრდნობითაც გაერთიანებულმა სახელმწიფო პოლიტსამმართველომ ჰომოსექსუალისტთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის უფლება მიიღო ჯერ კიდევ კოდექსში ამ მუხლის შემოღებამდე (შემოიღეს 1934 წლის 7 მარტს, ხოლო კოდექსში შეიტანეს იმავე წლის 1 აპრილს).

ეს კანონი მხოლოდ 1993 წელს გააუქმეს.

**1490 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ** იურიდიულად დაკანონდა ერთიანი საქართველოს დაშლა. გახშირებული შინაომებისა და გარეშე მტრების განუწყვეტელი შემოსევებით დასუსტებული საქართველო ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებად — ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხე-საათაბაგოს სამთავროდ დაიშალა.

**555 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ** („წლის ბოლოს“) გაიმართა ეგრისის სახალხო კრება, ბიზანტიასა და ირანს შორის ეგრისის ტერიტორიაზე მიმდინარე დიდი ომის (542-562 წწ.) მსვლელობისას, იმასთან დაკავშირებით, რომ ბიზანტიელმა სარდლებმა რუსტიკემ და იოანემ ვერაგულად მოკლეს ეგრისის მეფე გუბაზ II.

კრებაზე ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხიც იდგა. ეგრისის დიდებულთა ერთი ჯგუფი აიეტის ხელმძღვანელობით მოითხოვდა ბიზანტიასთან კავშირის გაწყვეტას და ირანის მხარეზე გადასვლას, მეორე ჯგუფი ფარტაზის ხელმძღვანელობით ირანთან კავშირის წინააღმდეგი იყო. გაიმარჯვა მეორე აზრმა, ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანე იძულებული გახდა, რუსტიკე და იოანე სიკვდილით დაესაჯა.

საბოლოოდ ირანსა და ბიზანტიას შორის დაიდო 50-წლიანი ზავი, რომლის თანახმადაც ეგრისი ბიზანტიას დარჩა ვასალურ ქვეყნად.

**1759 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ** იმერეთის მეფე სოლომონ I-მა საეკლესიო და საერო ფეოდალთა საგანგებო კრება მოიწვია, რომელიც მთელი თვე გაგრძელდა. დადგინდა ტყვეებით მოვაჭრეთა სიკვდილით დასჯა, უკანონოდ მიტაცებული ყმა-მამულების სახელმწიფოსთვის დაბრუნება, ზედმეტი გადასახადებისგან საეკლესიო ყმების გათავისუფლება, ეკლესიის საქმეებში სახელმწიფოს ჩაურევლობა, უღირსთა თანამდებობებიდან გადაყენება, ღირსეულთა დანიშვნა და სხვ.

**1786 ᲬᲚᲘᲡ 18 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ** საგარეჯოში გაიმართა ქართლ-კახეთის დიდებულთა თათბირი, რომელზეც განიხილეს საგარეო ორიენტაციის გადასინჯვის საკითხი ირანიდან რუსეთისკენ.

**1879 ᲬᲚᲘᲡ 21 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ** გორში მეწაღე ბესარიონ ჯუღაშვილისა და ეკატერინე გელაძის ოჯახში დაიბადა გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, გენერალისიმუსი იოსებ სტალინი.

**1800 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ** გარდაიცვალა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII. დაკრძალეს სვეტიცხოველში.

**1777 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ** ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე II-მ აჯანყებული ქსნის საერისთავოს ციხეები აიღო, ერისთავი გიორგი ყულარაღასი შეიპყრო და თბილისში ჩაიყვანა, მართალია სიცოცხლე შეუნარჩუნა, მაგრამ ქსნის საერისთავო გააუქმა.

◎ ფიგურული ციგურაობა

# ლიცენზიატის თამასა

ალექსეი ბიჩენკო, მორის ყვითელაშვილი, არტურ დმიტრიევი.

**2018 წლის 9 თებერვალს კორეულ პიონჩანში საზეიმოდ გაიხსნება ზამთრის ოლიმპიური თამაშები, რომელშიც 90 ქვეყნის 3 ათასამდე საუკეთესო ათლეტი იასპარეზებს სპორტის 15 სახეობაში. ქართველთაგან ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლება ოფიციალურად ჯერჯერობით მხოლოდ ფიგურულად მოციგურავე მორის ყვითელაშვილს აქვს, რომელმაც პიონჩანის საგზური მსოფლიოს ჩემპიონატზე დაისაკუთრა. საგულისხმოა, რომ მან ევროპის ჩემპიონატზე მეხუთე ადგილი დაიკავა, ახალ სეზონში კი არაერთ საერთაშორისო ტურნირში მოსინჯა ძალები წარმატებით: მოსკოვში, სადაც სხვადასხვა ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები მონაწილეობდნენ, მეხუთე ადგილზე გავიდა, გრენობლში მეექვსე ადგილი ხვდა, მერე ბელარუსში მეორე ადგილი დაიკავა და ასევე, მეორე იყო ჩინურ კომერციულ ტურნირ „შანხაი ტროფი 2017-ში“.**

და აი, ახალი წარმატება: ხორვატეთის დედაქალაქ ზაგრებში დასრულდა საერთაშორისო ტურნირი „ზაგრები – 2017“, რომელშიც უფროსი ასაკის 21 ქვეყნის 128 სპორტსმენი გამოდიოდა, მათ შორის – მორის ყვითელაშვილი. ჩვენებურმა ორი პროგრამის ჯამში 236,67 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მან მოკლე პროგრამაში 76,24 ქულა დაიმსახურა და მე-6 ადგილზე იყო. გადამწყვეტი თავისუფალი პროგრამა აღმოჩნდა, სადაც მორისმა ყველას აჯობა 160.43 ქულით – ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი ყაზახი დენის ტენიც კი ჩამოიტოვა: 1. მორის ყვითელაშვილი (საქართველო, 236,67), 2. ალექსეი ბიჩენკო (ისრაელი, 231,81) 3. არტურ დმიტრიევი (რუსეთი, 229,74).

ზაგრებშივე იასპარეზეს იუნიორებმა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრმა ირაკლი მაისურაძემ 178.08 ქულით მე-12 ადგილი დაიკავა.

**ლექსო ციწცაძე**

◎ ხელბურთი

# ჩემპიონატი „არენაში“ განახლდა

**საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნულ ჩემპიონატში რვა კლუბი მონაწილეობს. პირველი წრის ოთხი ტურის შემდეგ მათ 10-დღიანი შესვენება ჰქონდათ. სასპორტო კომპლექს „არენაში“ აღმოსავლეთ საქართველოს გუნდებმა ჩემპიონატი განაახლეს. მე-5 ტურში ქვეყნის ჩემპიონი თელავის „იმედი“ თბილისის „პეგასს“ დაუპირისპირდა. დაძაბული და საინტერესო პაექრობა „პეგასმა“, რომელსაც ამ სეზონში „მონპელიეში“ გადასული გიორგი ცხოვრებაძე დააკლდა, სტუმრებთან პირველ ტაიმში აღმავლობით ითამაშა და 20:17 დაწინაურდა. შესვენების შემდეგ თელაველები გააქტიურდნენ, სამბურთიანი სხვაობა მალე-ვე აღმოფხვრეს და წინაც გავიდნენ. საბოლოოდ ჩემპიონმა 34:32 გაიმარჯვა და ხუთი ტურის შემდეგ 8 ქულით ბათუმის „შავი ზღვის ბიჭებს“ გაუთანაბრდა.**

შემდეგ სარბიელი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონ სტუ-„ქარიშხალას“ და გორის გუნდს დაეთმო. ფავორიტად მასპინძლებს მიიჩნევდნენ, მაგრამ პირველი ტაიმი ფრედ დასრულდა. შესვენების შემდეგ ორთაბრძოლა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. მატჩის მიწურულს სტუმრები დაწინაურდნენ და საბოლოოდ შეხვედრა 31:27 მოიგეს. „გორი“ „ქუთაისთან“ მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფს, ოღონდ რიონისპირელებს ერთი მატჩი მარაგში აქვთ.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ბათუმი“ (4 მატჩიდან) - 8 (149:108), „თელავი“ (5) – 8 (155:138), „ქუთაისი“ (4) – 6 (146:119), „გორი“ (5) – 6 (169:174), „პეგასი“ (5) – 4 (183:167), სტუ-„ქარიშხალა“ (5) – 4 (148:151), „წყალტუბო“ (4) – 0 (121:164), „სამტრედია“ (4) – 0 (90:140) ქულა.

**ლაშა დიდია**

◎ საფეხბურთო მოზაიკა

**ტურინის „იუვენტუსის“ ლეგენდა ჯანლუიჯი ბუფონი იტალიის 2017 წლის ადამიანი გახდა. 39 წლის კიპერმა აღნიშნული ჯილდო Gazzetta Dello Sport-ის ვერსიით მოიგო.**

დაჯილდოების შემდეგ ვეტერანმა მეკარემ თავის გეგმებზე ისაუბრა და კიდევ ერთხელ დატოვა კითხვები – დაასრულებს თუ არა მიმდინარე სეზონის ბოლოს კარიერას?..

„არ გამოვრიცხავ, რომ ევრო 2020-ზეც ვითამაშო. მე დღიდან დღემდე ვცხოვრობ. შვედეთთან მარცხის შემდეგ ხალხის ძალიან დიდი სიყვარული ვიგრძენი და ამიტომ ფეხბურთში მანამდე დავრჩები, სანამ საჭირო ვიქნები“, – აღნიშნა ბუფონმა.

შეგახსენებთ, რომ ჯიჯი თამაშის დასრულებას მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის შემდეგ აპირებდა, თუმცა, იტალიის ნაკრები მუნდიალზე საერთოდ ვერ გავიდა. იტალიური მედია ოთხი დღის წინ იტყობინებოდა, ბუფონმა „ინტერის“ სპორტულ დირექტორს დიდი იტალიური დერბის დროს უთხრა, რომ კარიერის დასრულება გადაიფიქრა...

**არგენტინის ეროვნული ნაკრების კაპიტანი ლიონელ მესი აღიარებს, რომ მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის ფინალში გერმანიის ნაკრებთან განცდილ მარცხს დღემდე ვერ ივიწყებს და ეს სიმწარე მისი გონებიდან არასდროს წაიშლება.**

„ამის დავიწყებას ალბათ ვერასდროს შევძლებ. ვფიქრობ, სიცოცხლის ბოლომდე გვემახსოვრება ის, რაც მაშინ მოხდა. ერთის მხრივ, ბრაზილიური მუნდიალი ჩემში ბევრ სასიამოვნო ემოციას იწვევს, თუმცა, განწყობა მიფუჭდება, როცა მახსენდება, როგორ დასრულდა ის ჩვენთვის. სწორედ ასეთი წინააღმდეგობრივი დარჩება ის ჩემს გონებაში“ – განაცხადა ფიფას პრეს-სამსახურთან საუბრისას არგენტინელმა, რომლის გუნდიც მუნდიალის ფინალურ შეხვედრაში გერმანიასთან დამატებით დროში გაშვებული გოლით 0:1 დამარცხდა.

**„მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა წარსული გაიხსენა. როგორც Football italia შვედი ფეხბურთელის სიტყვებს ციტირებს, 2006 წელს მას „მილანიც“ იწვევდა, მაგრამ “ინტერში“ გადასვლა ამჯობინა, რადგან ისტორიაში შესვლა სურდა.**

„წინადადება მქონდა „მილანიდან“ და „ინტერიდან“. ჩემმა აგენტმა რაიოლამ მკითხა, მინდოდა თუ არა საუკეთესო გავმხდარიყავი და ვუპასუხე, რომ კი. „მილანს“ „ინტერი“ ვამჯობინე, რადგან „როსონერი“ ჩემპიონთა ლიგას იგებდა, „ნერაძურის“ კი იტალიის ჩემპიონატი 17 წელი არ ჰქონდა მოგებული.

ვფიქრობდი, თუ ამას ჩემთან ერთად მოახერხებენ, ისტორიაში შევალ-მეთქი. საბოლოოდ „ინტერში“ ტიტული მოვიგე, ხოლო მე საუკეთესო ბომბარდირი გავხდი“, – განაცხადა სნაიპერმა.

შეგახსენებთ, რომ ზლატან იბრაჰიმოვიჩი 2006 წლის ზაფხულში მას შემდეგ, რაც „იუვენტუსი“ ქვედა ლიგაში დააქვეითეს, „ინტერში“ გადავიდა.

**გიორგი ზოთაძე**

◎ ჭადრაკი

# პირველობა - 9-დან 8 ქულით

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა ბრძენთა თამაშში ვაჟთა საქართველოს გრან პრის მეოთხე ეტაპის გათამაშება რაპიდში. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით ჩატარდა. ცხრა შესაძლებლობიდან 8 ქულით (რვა მოგება და ერთი მარცხი გიგა ყუფარაძესთან) მთავარი პრიზი (500 ლარი) თორნიკე სანიკიძემ მოიპოვა და რაპიდში პირადი რეიტინგი 52 პუნქტით გაიუმჯობესა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა საქართველოს ნაკრების წევრი ლევან ფანცულაია და მეორე ადგილი (300 ლარი) დაიკავა, ხოლო 7 ქულით მესამე (200 ლარი) ადგილზე ირაკლი ბერაძე გავიდა.

**გიორგი გაგუა**

◎ კალათბურთი

# კავაი დაბრუნდა

**გუშინ გამთენიისას ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის მორიგი შეხვედრები გაიმართა.**

ტეხასურ დერბიში „დალასმა“ „სან ანტონიო“ 95:89 დაამარცხა. „სფურზს“ გუნდის ლიდერი კავაი ლეონარდი დაუბრუნდა, რომელსაც ტრავმის გამო მიმდინარე სეზონში არ უთამაშია. კავაის მონაგარი 15 წუთში 13 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა გახლდათ, ხოლო „სან ანტონიოში“ 23 ქულითა და 13 მოხსნით ლამარკუს ოლდრიჯი გამოირჩა. „დალასმა“ უფრო გუნდური კალათბურთი ითამაშა და ხუთ კალათბურთელს 12 და მეტი ქულა ჰქონდა. მათ შორის ყველაზე მეტი – 17 ქულა ჰარისონ ბარნსმა ჩააგდო.

„კლივლენდმა“ საკუთარ დარბაზში „ატლანტა“123:114 დაამარცხა. მატჩში გარდამტეხი მეორე პერიოდი აღმოჩნდა, რომელიც „კავალიერზმა“ 31:17 მოიგო. ლებრონ ჯეიმსმა პარტნიორებს 25 ქულა, 17 პასი და 7 მოხსნა შესძინა. „მეფემ“ 17 პასით თავისი რეკორდი გაიმეორა, ჯამში კი „კლივლენდმა“ 35 შედეგიანი გადაცემა შეასრულა, რაც მიმდინარე სეზონში გუნდის საუკეთესო შედეგია. „კლივლენდი“ 20 მოგებითა და 8 წაგებით აღმოსავლეთ კონფერენციაში მეორე ადგილზე იმყოფება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

არდავიწყება

# ეროვნული კაცი ვახტანგ ყიფიანი

ორი წლის წინათ გარდაცვლილი მეგობრის დაბადების დღის აღსანიშნავად და ხსოვნისადმი პატივსაცემად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სადისერტაციო დარბაზში შეიკრიბა თბილისის სამედიცინო საზოგადოება, მისი მეგობრები და ახლობლები.

**ვახტანგ ყიფიანის** ხსოვნის საღამოს ორგანიზატორი იყო თსსუ-ს ხელმძღვანელობა, პათოფიზიოლოგთა, ფიზიოლოგთა და ფარმაკოლოგთა სამეცნიერო საზოგადოებების მონაწილეობით.

გადავსებული აუდიტორიის წინაშე რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ ვახტანგ ყიფიანის პიროვნებაზე ისაუბრა, ხოლო სამეცნიერო, საორგანიზაციო და პედაგოგიურ საქმიანობაზე — მისმა მეგობრებმა, პროფესორებმა რამაზ ხეცურიანმა, ასოცირებულმა პროფესორმა ნატო პავლიაშვილმა, საღამოს წამყვანმა, პროფესორმა თ. პეტრიაშვილმა. ბევრი რამ მოიგონა ვ. ყიფიანის ბავშვობის მეგობარმა, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ყოფილმა რექტორმა რამაზ ხუროძემ, გაიხსენეს პროფესორებმა ალეკო ციბაძემ, ზიგმუნდ ზურაბიშვილმა, ნიკოლოზ გონგაძემ, ქართველი ხალხის საყვარულმა ქალბატონმა ნონა გაფრინდაშვილმა.

საღამოზე არაერთხელ აღინიშნა ვ. ყიფიანის მიერ გაწეული ნაყოფიერი საქმიანობის სხვადასხვა ასპექტი. 1944 წელს დაბადებულმა 1967 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი, 1970 წელს კი — ასპირანტურა პათოფიზიოლოგიის კათედრაზე. 1971 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია პროფესორ ირინა ზაალიშვილის ხელმძღვანელობით. ამავე წლიდან კათედრის ასისტენტია, 1976 წლიდან კი — დოცენტი. 1988 წელს მოსკოვში დიდი წარმატებით დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, რომლის კონსულტანტიც პროფესორი თეიმურაზ ნათაძე გახლდათ. 1988 წლიდან ვ. ყიფიანი კათედრის პროფესორია, 1990 წლიდან — 2005 წლამდე კი —

კათედრის (ამჟამად დეპარტამენტი) გამგე, 11 წლის განმავლობაში იყო უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო საქმიანობაში. მან თითოეული სადისერტაციო ნაშრომის განხილვის დროს გამოავლინა ენციკლოპედიური ცოდნა მედიცინის ყველა საკითხში. მკაცრი და სამართლიანი იყო სადისერტაციო ნაშრომების საჯარო დაცვაზე დაშვების დროს. მისი ლექციები დიდი ინტერესით სარგებლობდა სტუდენტებში. ხაზი უნდა გაესვას მის განსაკუთრებულ თბილ დამოკიდებულებას კათედრის ყოფილი ხელმძღვანელების ირინა ზაალიშვილის, თეიმურაზ ნათაძის, ავთანდილ გელაშვილის, კათედრის თანამშრომლების მიმართ.

იყო საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ქართული სახელმძღვანელოების ავტორი პათოფიზიოლოგიაში, მრავალი სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი ან კონსულტანტი.

მეგობრებმა გავიხსენეთ მისი პიროვნული თვისებები; შრომისმოყვარეობა, სიკეთე, მეგობრის გვერდში დგომის სურვილი, მისი ნიჭიერება, რაც ჯერ კიდევ სტუდენტობიდან აშკარად ჩანდა. ვახტანგს განსაკუთრებით უყვარდა ოჯახი. ყველაფერს აკეთებდა, რათა მისი შთამომავლობა განათლებული და ერის მოყვარული ყოფილიყო.

**მეგობრები**

# თავდასხმა
## „საქართველოს ბანკის“ ფილიალზე

**გუშინ** გვიან ღამით შეიარაღებული პირი დადიანის ქუჩაზე „საქართველოს ბანკის“ ფილიალში შეიჭრა. ამ დროს შენობაში მხოლოდ დაცვის თანამშრომლები იმყოფებოდნენ. მათ თავდამსხმელის განეიტრალება საკუთარი ძალებით მოახერხეს და ადგილზე სამართალდამცველების მისვლამდე დააკავეს. შემთხვევის დროს იყო სროლაც, თუმცა არავინ დაშავებულა. გამოძიება 179-ე ყაჩაღობის მუხლით დაიწყო.

შსს-მ ყაჩაღობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა. დაკავებულია 1988 წელს დაბადებული დ.შ.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩაზე მდებარე „საქართველოს ბანკის“ ექსპრეს-ფილიალში შეიჭრა და მოლარე-ოპერატორს ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით 5415 ევრო, 8353 ამერიკული დოლარი და 7425 ლარი გასტაცა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე იმ დროს დააკავეს, როცა მიმალვას ცდილობდა. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი და გატაცებული თანხა ნივთმტკიცებად ამოიღო“, — აცხადებენ შსს-ში.

# ქვემო ქართლში დიდი რაოდენობით ჰეროინი ამოიღეს

**შინაგან** საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკული საშუალების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების და მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, 1977 წელს დაბადებული ფ.გ., განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ბრალდებით მარნეულში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 2 შეკვრად დაფასოებული 11,607 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღეს, რაც, ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, 6,07 გრამ ჰეროინს შეიცავს. ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ფ.გ. დაკავებისას ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც რვიდან ოც წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

◎ აუცილებელი რეკომენდაციები!

# ევროკავშირი შაურმის აკრძალვისთვის ემზადება

## რა გადაწყვეტილებას მიიღებენ საქართველოში?!

**ევროკავშირში** შესაძლოა, შაურმა აკრძალონ. ევროპარლამენტი ამ საკითხზე გადაწყვეტილებას თვის ბოლომდე მიიღებს. სწორედ ამის შემდეგ გაირკვევა, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ საქართველოს შესაბამისი უწყებები — აკრძალავენ, შაურმის მომზადებისთვის სპეციალურ ნორმებს დააწესებენ თუ უბრალოდ რეკომენდაციას გასცემენ. ექიმები და კვების სპეციალისტები კი, როგორც ევროპაში, ასევე საქართველოში, თვლიან, რომ შაურმის მიღება ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშია და მისი აკრძალვა თუ არ მოხდება, რეკომენდაციები მაინც უნდა გაიცეს.

ევროკავშირში შაურმის რეალიზაციის შესაძლო აკრძალვასთან დაკავშირებით უკვე რამდენიმე დღეა აქტიურად საუბრობენ. მსგავსი განცხადების საფუძველი ევროპელი მეცნიერების მიერ გაკეთებული დასკვნა გახდა. კერძოდ, ევროპელი მეცნიერების ნაწილი ამტკიცებს, რომ შაურმაში შემავალი ნივთიერებები გულსისხლძარღვთა დაავადებებს იწვევს. ამ მოსაზრებას ევროპარლამენტარების ნაწილი იზიარებს და ფოსფატების გამოყენების შეზღუდვას ითხოვს. ეს კი ნიშნავს, რომ შესაძლოა, სულ მალე ევროპაში საშაურმეების დიდი ნაწილი დაიხუროს. რადგან, როგორც მზარეულები ამბობენ, ამ ელემენტის გარეშე ხორცი გამოშრება და დაიშლება.

ევროპარლამენტარების მეორე ნაწილი აკრძალვის წინააღმდეგია. მათი თქმით, შაურმის აკრძალვის შემთხვევაში, ათასობით ადამიანი უმუშევარი დარჩება. სტატისტიკური მონაცემებით, ყოველწიურად ევროკავშირის მოქალაქეები დაახლოებით 500 ტონა შაურმას მიირთმევენ. ამ პროდუქტის 70 პროცენტს გერმანიაში ამზადებენ.

რაც შეეხება საქართველოს, სადაც შაურმის ბიზნესი საკმაოდ მზარდია, უცნობია, რა რეაგირება ექნებათ შესაბამის უწყებებს. ჯანდაცვის სამინისტროში აღნიშნულ საკითხზე კომენტარს არ აკეთებენ. დავით სერგეენკოს უწყებაში მხოლოდ იმას აცხადებენ, რომ „ამ საკითხზე დეტალების გარკვევა სურსათის ეროვნულ სააგენტოში უნდა მოხდეს“.

სურსათის ეროვნულ სააგენტოში კი აღნიშნულ საკითხზე კომენტარს არ აკეთებენ. უწყებაში მხოლოდ იმას აცხადებენ, რომ საშაურმეების შემოწმება მუდმივად მიმდინარეობს.

კვების ექსპერტები და ექიმები მიიჩნევენ, რომ შაურმის მოხმარება ორგანიზმისთვის მავნებელია. მათი ნაწილი კი მომხრეა, რომ ქვეყანაში შაურმის აკრძალვა მოხდეს.

როგორც საქართველოს მომხმარებელთა ფედერაციის თავმჯდომარე **მადონა კოიძე** აცხადებს, აუცილებელია რეკომენდაციები და სრულყოფილი ინფორმაცია თუ რა საფრხესთან გვაქვს საქმე და ამ საკვები პროდუქტით რა სახის ზიანი შეიძლება მიადგეს მომხმარებლის ჯანმრთელობას.

„კომერსანტთან“ საუბრისას ენდოკრინოლოგი **ნინო ბერეკაშვილი** აცხადებს, რომ შემწვარი ხორცი, რომელიც შაურმაში გამოიყენება, დიდი რაოდენობით არასასურველ ცხიმებს შეიცავს და ის ნეგატიურ გავლენას ახდენს გულსისხლძარღვთა სისტემაზე. ეს კი სხვადასხვა სახის დაავადებებს იწვევს.

**„შაურმის ხორცი ძირითადად იმპორტირებული და გაყინულია. ის სხვადასხვა მავნე ნივთიერებებს შეიცავს, რათა დანამატების საშუალებით გაყინულმა ხორცმა დიდხანს გაძლოს. შემდგომი პრობლემა ხორცის მომზადების პროცესთან დგას.**

**შემწვარი ხორცი, რომელიც შაურმაში გამოიყენება დიდი რაოდენობით არასასურველ ცხიმებს შეიცავს და ის გავლენას გულსისხლძარღვთა სისტემაზე ახდენს, რაც სხვადასხვა დაავადების გამომწვევი მიზეზი ხდება. ცხიმები, რომლის წარმომავლობაც არ ვიცით შაურმაში გამოიყენება და მისი ხშირი მიღება სისხლში ქოლესტერინის დონის მატებას იწვევს“,** — განაცხადა ბერეკაშვილმა.

ენდოკრინოლოგი „კომერსანტთან“ საუბრისას ყურადღებას პროდუქტის დამზადების პირობებზეც ამახვილებს და მიიჩნევს, რომ ქვეყანაში მისი აკრძალვა უნდა მოხდეს.

**„ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტსაც, რომ ხორცი, რომელიც კუსტარულად დამზადებულ გაზის აპარატზე იწვება ღია მდგომარეობაშია და მას ფილტრაცია არა აქვს. ხორცი იმ ნივთიერებებსაც შეიწოვს, რომელიც ბუნებრივი აირის წვის დროს გამოიყენება. ეს კი ჯანმრთელობისთვის მავნებელია. მე როგორც ენდოკრინოლოგი შაურმის მიღების მომხრე არ ვარ. სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული სახის რეგულაციები, ან ზოგადად ამ პროდუქტის აკრძალვა უნდა მოხდეს“,** — აღნიშნა ენდოკრინოლოგმა.

საჭირო რეკომენდაციის გაცემაზე და პროდუქციის მავნებლობაზე საუბრობს სურსათის ექსპერტი **ეთერ სარჯველაძეც**. სარჯველაძის აზრით, შაურმის ყიდვის დროს მომხმარებელი ვერ აკონტროლებს ხორცის უვნებლობას.

ევროპარლამენტში შაურმის საკითხზე მსჯელობა დეკემბრის ბოლომდე გაგრძელდება. სწორედ ამ პერიოდში გახდება ცნობილი, აიკრძალება თუ არა ევროპაში სწრაფი კვების ეს სახეობა. საქართველოში კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ევროპარლამენტის გადაწყვეტილებას დაელოდებიან და განცხადებას ამის შემდეგ გააკეთებენ.

**ლიკა გურაბანიძე**

# ქართული დროშა ფრანკფურტში

**თბილისის** **კონსერვატორიის სტუდენტმა და დილიჟანის სახელოვნებო კოლეჯის პირველი კურსის მოსწავლემ, წარჩინებულმა ხელოვანმა ლიზი ბუდაღაშვილმა ოქტომბერში თავის კოლეჯში საქართველოს დროშა ააფრიალა წარმატებული კონცერტის შემდეგ, ამჟამად მან ქართული დროშა ამაყად ააფრიალა გერმანიაში, ქალაქ ფრანკფურტის კინოს მუზეუმში, სადაც მოეწყო მისი შესანიშნავი ფერწერული ნამუშევრების გამოფენა, ასევე გერმანულად თარგმნილი მისი პოეტური კრებულის და საფორტეპიანო კომპოზიციების კრებულის პრეზენტაცია.** საღამოს მუსიკალურად თვითონვე აფორმებდა საკუთარი ოპუსების შესრულებით. ქართულ დროშას მასთან ერთად ამაყად აფრიალებდა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კინორეჟისორი ვახტანგ კუნცევ-გაბაშვილი, რომლის დოკუმენტურმა ფილმმა „Life is be“ („ეს ცხოვრებაა“) დიდი ინტერესი და გამოხმაურება გამოიწვია. ფილმი აღმოსავლეთ საქართველოში უსახლკარო გერმანელების ცხოვრებაზე მოგვითხრობს. საღამოს ესწრებოდნენ როგორც ადგილობრივი საზოგადოების, ასევე ევროპის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

**რევაზ თოფურია**

# მანდილოსანთა გულკეთილობის მიზეზი

**„ძალური** **მენტალიტეტი განსხვავდება მამაკაცისაგან, ქალბატონებს მეტი სინაზე და ნაკლები ეგოიზმი გამოარჩევთ“, — წერდა თავის დროზე ჩარლზ დარვინი თავის ცნობილ მონოგრაფიაში „სახეობათა**

**წარმოშობა და სქესობრივი შერჩევა“, თუმცა ეს ემანსიპაციის ეპოქის დადგომამდე კარგა ხნით ადრე იყო. ცოტა ხნის წინათ ევროპელ მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფმა იმაში გარკვევა სცადა, თუ რატომაა, რომ ქალები ხშირად მზად არიან, ნაძირალაც შეიბრალონ, მამაკაცები კი უფრო ხშირად საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ.**

თავდაპირველად დაადგინეს, რომ განსხვავება თავის ტვინის დაჯილდოების წახალისების სისტემაში მდგომარეობს. მთავარ როლს მასში **ნეირომედიატორი დოფამინი** ასრულებს, რომელიც სიამოვნების განცდის დროს წარმოიშვება და პირობით რეფლექსებს ამაგრებს. როგორც ჩანს, სულგრძელობის გამოჩენისას ქალები თავიანთი საქციელის გამო მეტ „ქიმიურ ჯილდოს“ იღებენ, ვიდრე მამაკაცები.

ექსპერიმენტების შემდეგ ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის ნეირობიოლოგმა **ენ მერკიმ** აზრი გამოთქვა, რომ ქალსა და მამაკაცს შორის გენდერული განსხვავება ევოლუციური ხასიათისაა, რასაც მღრღნელთა მოქცევა მოწმობს — მათი მდედრები მამრებზე უფრო „გულმოწყალენი“ არიან.

გარდა ამისა, დოქტორმა მერფიმ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ ქალებსა და მამაკაცებს ტკივილის შეგრძნების სხვადასხვა მექანიზმი აქვთ, ქალებს ტკივილის გასაყუჩებლად ორჯერ მეტი ნარკოტიკი სჭირდებათ, ვიდრე მამაკაცებს.

# რასიზმისა და გენდერული კლიშეების საფრთხე

**ხელოვნურ ინტელექტს რასისტული მიდგომები და გენდერული კლიშე აღმოაჩნდა, რაც ბევრი ადამიანისთვისაა დამახასიათებელი, — აცხადებენ პრინსტონის (აშშ) უნივერსიტეტის მეცნიერები.**

როცა ხელოვნური ინტელექტი ენას სწავლობს, მასთან ერთად ის მასში არსებულ სტერეოტიპებსაც აღიქვამს. მაგალითად, ადამიანთა უმრავლესობაში სიტყვა „ყვავილი“ ზედსართავ „სასიამოვნოსთან“, ხოლო სიტყვა „მწერი“ — „არასასიამოვნოსთან“ ასოცირდება.

ჰოდა, აფროამერიკულ საზოგადოებაში ჩვეული სახელები ხელოვნურმა ინტელექტმა „არასასიამოვნოდ“, თეთრკანიანთა საზოგადოებაში მიღებულები კი„სასიამოვნოდ“ მიიჩნია. გარდა ამისა, ქალის სახელებს პროგრამა ხელოვნებას, მამაკაცებისას კი მათემატიკას უკავშირებს.

არადა რასისტული და დისკრიმინაციული „შეხედულების“ მქონე რობოტიზებული გონება მომავალში შეიძლება ძალიან დიდ პრობლემად გადაიქცეს, ვთქვათ, ვაკანსიაზე კანდიდატის შერჩევისას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

## გასაცინებელი ა(მ)ბები

### მძიმე შემთხვევა

**პოლიციაში** მომჩივანი მივიდა, გამქურდეს, გამძარცვეს, მიშველეთ რამეო. თან ქურდის რამდენიმე ნიშან-თვისებაც აცნობა.

— მაშასადამე, შეამჩნიეთ, რომ ქურდს მრუდე ფეხები ჰქონდა, — ეუბნება მორიგე, — ხომ არ შეგიძლიათ, ისიც გვითხრათ, ფეხებს O ან X ფორმა ჰქონდა თუ არა?

— არა, არ შემიძლია, — მიუგო გაქურდულმა. — წერა-კითხვის უცოდინარი ვარ.

### რეკლამა

**ერთ-ერთ** სასტუმროში იტალიაში აბრაზე ეწერა: „აქ ლაპარაკობენ ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად, ესპანურად, ბერძნულად და სხვა ევროპულ ენებზე“.

### ნაცნობი ხელწერა

**სამეცნიერო** კონფერენციამ გაშიფრა ძველი პაპირუსები.

— ამ იეროგლიფებს ვერ ვარჩევ, რა ვქნა? — მიმართა ხნიერ მეცნიერს ახალგაზრდა ასისტენტმა.

— აქ ისეთი რა არის, რომ ვერ არჩევ?! — შეუღრინა ხნიერმა მეცნიერმა და პაპირუსს ლუპით დახედა. — რა არის აქ გაუგებარი, ეს ჩვეულებრივი რეცეპტია, რომელიც ექიმმა ფარაონს გამოუწერა.

### საჩუქარი პატარძლისთვის

**საიუველირო** მაღაზიაში მოღუშული კაცი შევიდა, გამყიდველს პისტოლეტი მიუშვირა და უთხრა:

— მომეცი ძვირფასთვლიანი ბეჭედი, ოღონდ სწრაფად!

შეშინებულმა გამყიდველმა ეგრევე გაუწოდა ბეჭედი. ბანდიტმა კარგად შეათვალიერა ძვირფასთვლიანი ბეჭედი და მიაძახა:

— ასეთი ძვირად ღირებული ბრილიანტი რად მინდა, რაიმე იაფიანი მაჩვენე, რომ პატარძალს ჩემი ნაყიდი ეგონოს!

### შორსმჭვრეტელი

**მენავე** მგზავრებს მიმართავს:

— ფული წინასწარ გადაიხადეთ!

— შენ რა, არ გვენდობი? — აღელდა ერთ-ერთი მგზავრი. — ჯერ მეორე ნაპირზე გადაგვიყვანე და მერე გადაგიხდით.




— როგორ გეკადრებათ, თქვენისთანა ძვირფას მგზავრებს როგორ არ უნდა ვენდო, მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩემს ნავს ძირი არ უვარგა და წყალი ატანს.

### საგზური

— **უკვე** სამი საათია, მატარებელს ველოდები, რას ჰგავს ეს საქციელი?! — ნერვიულად მიმართა სადგურის უფროსს ერთ-ერთმა მგზავრმა.

სადგურის უფროსმა მხრები აიჩეჩა:

— მეც ველოდები, მაგრამ შენსავით არ ვწუწუნებ.

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 15 დეკემბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6258; ევრო - 3.0916;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4999;
100 რუბლი - 4.4624; თურქული ლირა - 0.6860;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5452;
1000 სომხური დრამი - 5.4252.

**ამინდი 14 დეკემბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | -2, | დღე | +10 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -9, | დღე | +12 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +2, | დღე | +18 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -5, | დღე | +10 |
| **თბილისი:** | ღამე | 0, | დღე | +7 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge